გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№39 (795) 8 – 9 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

„ოცნება“ და ნაცმოძრაობა კოალიციური მთავრობის შექმნას გეგმავენ?!

„პარადოქსულ ვითარებაში ვართ: აქამდე ხელისუფლება იყო ერთმუშტად შეკრული და ოპოზიცია — დაქსაქსული. ახლა კი, ოპოზიციაა ერთმუშტად, ყველა დანარჩენი კი ხელისუფლების ხმის გამყოფია! ყველაფერ ამას შეიძლება, ორი ახსნა ჰქონდეს: „ოცნებას“ ეს ან მეტისმეტი იდიოტობისგან მოსდის, ან...“

„შესაძლოა, დამნაშავეები თანამდებობებს დღემდე ინარჩუნებენ, მაგრამ ყველას საკადრის ადგილს მივუჩენთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრიმინალთან ბრძოლის პროფესიონალები სამსახურებიდან ხელაღებით გავათავისუფლოთ. თუ ასე მოვიქცევით, მოსახლეობას კრიმინალური სიტუაციის გაუარესებისთვის გავწირავთ, ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ, დანარჩენს კი დრო თავისთავად დაალაგებს“

19 აპრილის აქციისთვის ნაციონალები ფულსა და ბენზინის ტალონებს არიგებენ?!

თბილისში ოთხი მეძავი მოკლეს?!

ქართული სექსინდუსტრიის ჭირ-ვარამი

– რატომ წყვეტიან სააკაშვილს, რას სთხოვენ „პუტანკები“ ახალ ხელისუფლებას და რატომ გაიაფდა მეძავის მომსახურეობა

გვ. 14

ქუთაისის საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციენტის შვილი ექიმების დასჯას ითხოვს

რა გახდა 36 წლის ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი და რატომ სთხოვენ ქუთაისის საავადმყოფოში ავადმყოფის მნახველს 50 დარს

გვ. 11

„რაბათი ჩვეულებრივი „ფუნდუკია“!

გვ. 6

გაიჩეჩილეს ყმაწვილებმა, ჟორჟ...

დიტო გელოვანი

„აბა, კიდევ ვის რა გასაჭირი გაქვთ? გისმენთ“. „ხორცებს იპარამენ!“ — დაიძახა ვიღაცამ. „კი არ იპარამენ, შედიან და სჭამენ“. „ვა, მოპარვაც კიდევ სხვა რამეა?“ „მოპარვაა, მოპარვა!“ „მარილი, ზეთი — რაც კაი რამეა, მიაქვთ!“ პოლკოვნიკმა ძლივს მოიხელთა დრო, რომ იმ ყვირილში თავისი სიტყვაც ჩაეკერებინა: „ვინ იპარავს, ბატონებო, საიდან იპარავს, სად შედიან?.. რიგრიგობით ვილაპარაკოთ, ერთმა თქვას!“ საშინელი ღრიანცელი ატყდა, რადგან ყოველ დამსწრეთაგანს მიაჩნდა, რომ თუ რიგრიგობით ლაპარაკზე მიდგა საქმე, მაშინ სწორედ მისი რიგი იყო.

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

რაც შეეხება პოლიციისა და საია-ს ინციდენტს.

მოდი, სხვა მხრიდანაც შევხედოთ ამ საქმეს. პოლიციისა და ძალოვანების კრიტიკა აუცილებელი რამ არის. ჩვენ ვაფინანსებთ და უნდა მოვთხოვოთ კიდეც, ეს ლოგიკურია — ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, მაგრამ ამ კონფლიქტში არის მეორე მხარეც — საია, ანუ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ჩვენ არ ვაფინანსებთ და ვერც პასუხს ვთხოვთ, არც მოგვითხოვია არასოდეს, მაგრამ ვიღაც ხომ სთხოვს და ვინ არის ის ვიღაც?

ოღონდ, არ მითხრათ, რომ საია და, ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციები ვართ ჩვენ — ქართული საზოგადოება.

კარგად გაიხსენეთ, ძალადობის რომელ ფაქტზე მიუციათ ასეთი რეაქცია ენჯეოშნიკებს? თუ ჟურნალისტი მიადგებოდა ან ტელევიზორში დაუძახებდნენ, მხოლოდ მაშინ გამოთქვამდნენ ხოლმე საკუთარ აზრს, ისიც — მორცხვად, წიგნებიდან ამოკითხული ფრაზებით და სლოგანებით.

სამაგიეროდ, მახსოვს საია-ს განცხადება 26 მაისთან დაკავშირებით...

მოხდა მსუბუქი შეხლა-შემოხლა „თავხედ პოლიციელსა“ და „თავხედ ენჯეოშნიკს“ შორის. თავხედი ენჯეოშნიკის ნაცვლად, მე რომ ვყოფილიყავი — ზრდილზე ზრდილი ან თუნდაც თავხედი, მაგრამ არაენჯეოშნიკი ჟურნალისტი, რომელი ენჯეო ამოიღებდა ხმას? არც ერთი!

თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ვერც ვერავინ ვერაფერს გაიგებდა — ორმა კაცმა იჩხუბა, კაცური ამბავია. მანდ შეიძლებოდა, შერიგებითა და ხელის ჩამორთმევით ამოწურულიყო ინციდენტი, მაგრამ შემდეგ არ იქნებოდა აქცია და აქციები, რაც აუცილებელი წინაპირობაა მორიგი გრანტისა, ხოლო გრანტი (ამათ ხელში) არის გარანტია უსაქმური და უზრუნველი ცხოვრებისა.

აბა, ჩემგან თელიას და, საერთოდ, არც ერთი პოლიციელის ადვოკატი არ გამოვა (უმალ — პირიქით), მაგრამ პრავა არ ჰქონდა და სიგარეტი ესროლაო — უსუსური და სასაცილო ბრალდებებია.

კოჟორიძისა და ხუხაშვილის დებატებს რომ ვუყურებდი, სიგარეტი კინაღამ ტელევიზორის ეკრანზე მივაქრე და დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, თუ ვინ იყო ამ დროს ეკრანზე მსხვილი პლანით.

ამ ქვეყანაში ყოველდღე უამრავი კონფლიქტი ხდება, ცოლი ქმარს ეჩხუბება. ქმარი — ცოლს, მშობლები — შვილებს, შვილები — მშობლებს, ერთმანეთში ჩხუბობენ, მეგობრები და თანამშრომლები... ჩხუბობენ და შემდეგ რიგდებიან. ხშირად მეგობრობა ჩხუბიდან იწყება ხოლმე, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩხუბს აქვს მიზეზი და არა საბაბი, ხოლო მეგობრობას — საფუძველი და არა მატერიალური გამორჩენა ან სოციალური ქსელებისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა.

ძალიან შორს არ მინდა გავუტიო, მაგრამ ხშირად მახსენდება, გურამ ფანჯიკიძის მიერ აღწერილი შემთხვევა, რომელსაც იგი ბუენოს-აირესში შეესწრო: ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, ორივე მძღოლი გადმოვიდა, დაათვალიერეს დაზიანებები, ისაუბრეს, გაცვალეს ტელეფონები და ორივე თავის გზაზე წავიდა. პოლიცია კი ამ დროს შორიახლოს იდგა და თვალს ადევნებდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერეოდნენ, თუ სიტუაცია დაიძაბებოდა. რას გააკეთებდა არგენტინული საია, იქ რომ ყოფილიყო? აიღებდა გრანტს მონიტორინგში. თემა — „ძალადობა ქუჩებში და პოლიციის გულგრილობა“.

საერთოდ კი, როცა ორი კაცი ჩხუბობს, ორივე დამნაშავეა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ჩხუბობენ შვიდნი, თან — ექვსი ერთის წინააღმდეგ და თითქოს თანაფარდობა გვეუბნება, რომ მართალია ის ერთი, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე და ექვსეული (შისწიორკა) უფრო მართალია, ვიდრე ერთეული, საერთო ჯამში კი, შვიდივე ტყუის. რაღა ბევრი გავაგრძელო — ნიუსი და იმის ჯანი:

„ყოფილი „ლეიბორისტები“ „მემარცხენე ალიანსს“ ქმნიან და პირველ ყრილობას 1-ელ მაისს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართავენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლეიბორისტული პარტიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, სოსო შატბერაშვილმა განუცხადა, „მემარცხენე ალიანსი“ ოპოზიციური პოლიტიკური პარტია იქნება, რომლის ყრილობაზე 400 სტუმარია მიწვეული. მათ შორის ხელოვნების მოღვაწეები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

„400 სტუმარი გვეყოლება. მათ შორის ის ცნობილი ადამიანები, რომლებმაც „მემარცხენე ალიანსის“ დაფუძნებისთვის ხელმოწერები გააკეთეს. დღესვე გავუგზავნით მოსაწვევებს დიპლომატიურ კორპუსს“, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა. „მემარცხენე ალიანსის“ პრიორიტეტებზე შატბერაშვილს არ უსაუბრია და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ძირითად გუნდში მის გარდა, კახაბერ ძაგანია, გაგა მთვარელიძე, დავით ვერძეული, პაატა ჯიბლაძე და კონსტანტინე გუგუშვილი იქნებიან. შატბერაშვილის ინფორმაციით, ყრილობაზე დასწრების მოსაწვევებს შალვა ნათელაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის გარდა, ყველა პოლიტიკური პარტია მიიღებს“.

სწორედ ამას ჰქვია „კინო მოგვითხრობს თავის თავზე“. იყო ასეთი გადაცემა კომუნისტების დროინდელ პირველ არხზე, კვირაობით გადიოდა. ჯერ „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“ იყო და შემდეგ ეს.

ტელევიზიისა და სამეურნეო მექანიზმის თემას კიდევ დავუბრუნდები, მანამდე კი ისევ ყოფილ ლეიბორისტებს მივუბრუნდები, რომლებიც „მემარცხენე ალიანსის“ სახით აპირებენ დაბრუნებას.

აჰა — მივუბრუნდი, მაგრამ რა უნდა ვთქვა და რა დავწერო? არც არაფერი, საერთოდ არაფერი, უბრალოდ, საქართველოში 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული და ესეც შენი 200-ზე მეტი სტუმარი. ამას დავუმატოთ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან მაგალითად ირმა სოხაძე, ლალი მოროშკინა, ზურაბ ყიფშიძე და სხვები ეგეც დაახლოებით 160 კაცი, ერთი 30 სტუმარი ისე იქნება მისული, ჩანგლის ვარიანტში და კრება ისეთი მხიარული დარჩება, ისეთი მხიარული, მელია რომ იცინის-იცინის და კვდება სიცილით, ეგ მონაგონი იქნება.

ხოლო მელია არის დიდი შალვა ნათელაშვილი.

მხიარული ცხოვრება გველის, აქეთ შალვა და შალვოვიჩები შეეჯიბრებიან ერთმანეთს ხალხის სიყვარულში, იქით „ოცნება“ და ნაციონალები. უნდა ითქვას, რომ სალაღობო და სახალისო გასულ კვირაშიც იყო და ნიუსების ღენტას რომ ვათვალიერებდი, ჩემი ყურადღება ასეთმა ნიუსმა მიიპყრო — „პარტიების დაფინანსების შესახებ ახალ ინიციატივას გია გაჩეჩილაძე დღის წესრიგიდან ხსნის“. ნიუსი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო (სალაღობო და სახალისო) აბზაცს თქვენც გაახლებთ და მეც ერთხელ კიდევ დავტკბები:

„...გაჩეჩილაძის ავტორობითა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივით წარდგენილი პროექტის მიხედვით, საბიუჯეტო დაფინანსების მიღება ისეთ პოლიტიკურ პარტიებსაც შეეძლებათ, რომლებიც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად არ მონაწილეობდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო სუბიექტად რეგისტრირებული არ იყო, მაგრამ რომლის წარმომადგენელი თუ წარმომადგენლები პარტიის სახელით შეყვანილი იყვნენ საარჩევნო ბლოკის სიაში და არიან პარლამენტის წევრები. პროექტის გათვალისწინებით, ასეთმა პარტიებმა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის წელიწადში 130 ათასი ლარის ოდენობის დაფინანსება უნდა მიიღონ...“

ჰა, ჰაააა.... გაიშიფრე, მწვანეების მოყვარულო?! თან, რა სასაცილოდ გაიშიფრა — „უმრავლესობის სხდომაზე შევთანხმდით, რომ ცალკეული საკითხების „ამოგლეჯილად“ გატანა არ ღირს. ამასთან, გადაწყდა, რომ გამოიძებნება ასეთი ტიპის ორგანიზაციების დაფინანსების ფორმა. მაგალითად, „მწვანეთა პარტიას“ სჭირდება ოფისების შენარჩუნება, რადგან პარტია ოფისის გარეშე ვერ იარსებებს, სჭირდება შტატი, კომუნალური გადასახადების დაფარვა. ასეთ მინიმალურ ხარჯებზეა საუბარი“.

საწყალი, ძალიან მინიმალურზეც თანახმა ყოფილა — ოფისი, შტატი, კომუნალური გადასახადები. კოლორადოს ხოჭოსა და ამერიკული თეთრი პეპელის წინააღმდეგ ბრძოლას ალბათ საკუთარი ჯიბიდან დააფინანსებს.

მე სხვა იდეა მაქვს, აი, „უძინართა მზეში“ რომ არის — ფული არა, მაგრამ სხვა რამე რომ მოგცეო... ფული არა, მაგრამ, გაჩეჩილაძეს უნდა მივცეთ ნიჩბები და ნერგები, პარტიის თითო წევრზე — თითო. წავიდნენ და დარგონ.

მე ხომ რაღაცაზე სულ რაღაცები მახსენდება... ახლაც, მარკ ტვენი გამახსენდა — „როგორ ვმსახურობდი სენატორის მდივნად“, სადაც საფოსტო განყოფილების გახსნის მსურველ ამომრჩევლებს რომ ეუბნება, ფოსტა რად გინდათ, წერილები რომც მიიღოთ, წერა-კითხვა მაინც არ იცით და აი, დიდი, ტევადი ციხის გახსნა რომ მოითხოვოთ, ცუდი არ იქნებაო.

რა თქმა უნდა, მწვანე გაჩეჩილაძის იდეა აუცილებლად იქნებოდა შეთანხმებული ვარდისფერ ჟორჟოლიანთან, მაგრამ, როგორც ზემოთ წაიკითხეთ, უმრავლესობის სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ... ახლავე გეტყვით, როგორც წარმომიდგენია აღნიშნული შეთანხმება: გაჩეჩილაძემ მოითხოვა ფული ოფისების, შტატებისა და კომუნალური გადასახადებისთვის, უმრავლესობის რომელიღაც წევრმა კი საფეთქელთან საჩვენებელი თითი დაიტრიალა და უთხრა, შენ ალაოდ ხომ არ ხარ, იჯექი, სადაც ზიხარ, აიღე ხელფასი, რაც დანიშნული გაქვს და მკვეთრ მოძრაობებს მოერიდეო.

შესაძლოა, ფიქრობთ, რომ არ ღირდა მწვანე-სალათისფერისთვის ამხელა დროისა და ადგილის მოცდენა, მაგრამ ეგეთი გამოხტომა-გამოვარდნები მაფიქრებინებს, რომ არც ისე შორს არის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც კუთვნილ ადგილს მიუჩენს გაჩეჩილაძისნაირ პოლიტიკოსებს და მასთან ერთად, საზოგადოებისთვის ცნობილ ისეთ სახეებს, როგორებიც არიან, მაგალითად გოგი ქავთარაძე და სხვები.

გაიჯეჯილეს ბიჭებმა!.. მოინდომეს 130 ათასი ნლიურად და ბაზრების კონტროლი ყოველდღიურად.

გაიჩეჩილეს ყმაწვილებმა, ჟორჟ... ოლოლო, შენა!

ჰო, მაგრამ ფონსაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს? რაც უნდა დიდი სისულელეები აკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, მაინც შეუმჩნეველი დარჩება იმის ფონზე, რასაც ნაცები და ნაცმაცაცუნები აკეთებენ. გასულ კვირაში კრწანისის გამგებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის (ეგრე ჰქვია, თორემ სინამდვილეში საქართველოს ტელევიზიაა, დიქტორებით, „მოამბით“, სამეურნეო მექანიზმით, სიახლენით და პრობლემებით) საინფორმაციო (ეგრე ჰქვია, თორემ...) სამსახურის ყოფილი უფროსი ხათუნა ბერძენიშვილი დაინიშნა.

რა გინდა, რომ ქნა?

„მიმაჩნია, რომ ჟურნალისტიკა ერთგვარი კარგი წინაპირობაა კარგი სტარტია იმისთვის, რომ ადამიანმა სხვა ასპარეზზე მოსინჯოს საკუთარი ძალები“, — აცხადებს უგულავა. თბილისის მერის თქმით, ხათუნა ბერძენიშვილი რაიონში უფლებადამცველი და სოციალური მუშაკი იქნება. როგორც კრწანისის რაიონის ახალი გამგებელი აცხადებს, ის ჟურნალისტიკიდან საკუთარი სურვილით არ წასულა და ამიერიდან, აპირებს, აქტიურად ჩაებას კრწანისელების პრობლემების გადაჭრაში“.

აქამდე სად იყავი, ადამიანო?! მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ „ჟურნალისტიკა ერთგვარი კარგი წინაპირობაა კარგი სტარტია იმისთვის, რომ ადამიანმა სხვა ასპარეზზე მოსინჯოს საკუთარი ძალები“, თუ გიგი უგულავას მაგალითზე ვიმსჯელებთ, ჟურნალისტიკა არც წინაპირობად ვარგა და არც სტარტად.

მე რა მადარდებს, კრწანისის გამგეობის თანამშრომლებმა იდარდონ, მაგრამ იმ დღეს სამასი არაგველის ობელისკთან რომ გავიარე, რაღაც საეჭვო ხმაური შემომესმა და სულ არ გამიკვირდება, თუ სამასი გმირი საფლავში ტრიალებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხმაური იქნება ხათუნა ოჩიაურის სამფლობელოში, მცხეთა-მთიანეთში — ჯერ მარტო საფლავში ვახტანგ გორგასლის ტრიალი რად ღირს! უნდა ვივარაუდოთ, რომ ხმაური იქნებოდა ზემო ხოდაშენის სასაფლაოზეც, რადგან როგორც ჩემი მეგობარი სააგენტო გვამცნობს, „ირმა ნადირაშვილი სოფელ ზემო ხოდაშენში საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულ ქალბატონებს შეხვდა“...

„სამსახურიდან გათავისუფლებულთა განცხადებით, სოფლის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტად რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ. მათი თქმით, მიღებული გამოცდილების მიუხედავად, არჩევნების შემდეგ, ჯერ განცხადების დაწერა აიძულეს, შემდგომ კი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს და ისინი „ქართული ოცნების“ აქტივისტებით ჩაანაცვლეს“, — მოგვითხრობს ნიუსი.

ნტ, ნტ... „მიღებული გამოცდილების მიუხედავად...“ ამ გენდერულად დაუბალანსებელ ნიუსზე გამახსენდა ეს ანეკდოტი: მაროს სახლში დააგვიანდა. მიხო ეკითხება, სად იყავიო. მარომ — სილამაზის სალონში ვიყავიო. „მერე, დაკეტილი დაგხვდა, შენი...“

კიდევ ერთი გენდერულად დაუბალანსებელი ნიუსი: „ცენტრ პოინტის“ დაზარალებულები მაია რჩეულიშვილის დაპატიმრებას ითხოვენ“. აქ სათაურია გენდერულად დაუბალანსებელი, თორემ დაზარალებულთა მოთხოვნები, დიახაც, რომ დაბალანსებულია — „კიდევ ერთი მოთხოვნაა, „დექსუსის“ საქმიანობის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. დაზარალებულები „დექსუსის“ ერთ-ერთი დირექტორის, ივანე ცაგურიას დაუყოვნებლივ დაპატიმრებას მოითხოვენ“.

გასულ კვირაში ქართველმა პატიმარმა გინესის რეკორდი დაამყარა თითებზე აზიდვაში. საერთოდ, ეგეთი რეკორდების დამყარება უმადური საქმეა, დაამყარებ რეკორდს და აღმოჩნდება, რომ ხუთი წუთის შემდეგ ვიღაცამ გააუმჯობესა. თუმცა, გასულ კვირაში დამყარებულ რეკორდს სულ სხვა ხიბლი ჰქონდა — როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველმა, ლალი მოროშკინამ აცნობა, კუკური სალბიშვილმა რეკორდი 5 ერთეულით გააუმჯობესა.

ლალი მოროშკინა თუ დაესწრება, ჯონსონია თუ ტომსონი, ისიც დაამყარებს მსოფლიო რეკორდს.

ახლა მე წავალ და დაგემშვიდობებით. ძალიან უინტერესო კვირა იყო და ლალის რომ რეკორდი არ გაელამაზებინა, უფრო უინტერესო იქნებოდა. სამაგიეროდ, შემოდგომა იქნება საინტერესო. რა მაგარია, არა? გაზაფხული ახლა დაიწყო, ზაფხული ჰორიზონტზეც არ ჩანს, ჩვენ კი შემოდგომას ველოდებით, რათა დავითვალოთ წიწილები და მოვისაკლისოთ ქათამი, რომელიც წყალს რომ სვამს, ღმერთს მაშინაც არ უყურებს.

შ.გ. (შემოდგომაზე გამოიცვლება) „პარაშები ძველია, გამოგვიცვალონ!“ — მოისმა შეძახილი.

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

19 აპრილის აქციისთვის ნაციონალები ფულსა და ბენზინის ტალონებს არიგებენ?!

რატომ აღარ ითხოვს სააკაშვილის გადადგომას და რაში ეთანხმება ზვიად ძიძიგური ვანო მერაბიშვილს

ᲔᲓᲠᲣᲜᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

საერთო სასამართლოების კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა, პრეზიდენტმა შესაძლოა, ვეტო დაადოს, თუმცა უმრავლესობის განცხადებით, კოალიციას პრეზიდენტის ვეტოს გადალახვა არც ამჯერად გაუჭირდება. ამასთან, ქართული ოცნება უახლოეს მომავალში, უმრავლესობის გაზრდას პროგნოზირებს. გრძელდება თუ არა კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის პოლიტიკური პინგ-პონგი და რატომ არ აწყობს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა? — „ვერსიის“ კითხვებს „კონსერვატორების“ ლიდერი, ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური პასუხობს.

— მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, უმცირესობასთან შეთანხმება მოვახერხეთ, პოლიტიკური პინგ-პონგი დღემდე გრძელდება, რადგან საერთო სასამართლოების კანონში შეტანილი ცვლილებები, თავისი მნიშვნელობით, საკონსტიტუციო კანონპროექტს არ ჩამოუვარდება. მართალია, მიხეილ სააკაშვილს სასამართლოზე გავლენის შენარჩუნება სურს, მაგრამ ამ ბერკეტს, კანონის ძალით, უახლოეს მომავალში გამოვგლეჯთ.

— ბატონო ზვიად, თქვენი ოპონენტები განმარტავენ, რომ ზემოხსენებული ცვლილებებით სასამართლო „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ იარაღად იქცევა. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი გავლენის ქვეშ იქნება სასამართლო — ნაცმოძრაობისა თუ „ოცნების“?

— კოალიციის მხრიდან სასამართლოზე გავლენის მოპოვება იმით გამოიხატება, რომ ამ სტრუქტურას ობიექტური განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მივცემთ. სხვათა შორის, ნაციონალების კარგად მესმის — აღნიშნული ცვლილებების შემდეგ, სამოქალაქო თუ სამთავრობო სექტორზე ზეწოლას ვეღარ განახორციელებენ. ეს კი, მათი დაღუპვის ტოლფასია. ისე, ჩვენთვის ვენეციის კომისიის დასკვნა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მიხელ სააკაშვილის პოზიცია.

— უმრავლესობის ინიციატივა ნეგატიურად სწორედ ვენეციის კომისიამ, შემდეგ კი, ევროპის სახალხო პარტიამ შეაფასა. დასავლეთის რეკომენდაციები უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი რატომ ვერ გახდა?

— მას შემდეგ, რაც მმართველი გუნდი კოტე კუბლაშვილთან კანონპროექტის შინაარსზე შეთანხმდა, ცვლილებები ვენეციის კომისიისთვისაც მისაღებია. ეს დამაკმაყოფილებელი პირობაა, რათა სასამართლო რეფორმის მისამართით გადადგმული ნაბიჯი წარმატებულად ჩაითვალოს. კანონში ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიდან 90% გავითვალისწინეთ. ასე რომ, თუ მიხეილ სააკაშვილი კანონპროექტს ვეტოს დაადებს, ამას უმრავლესობა მარტივად გადალახავს.

— ვეტოს გადალახვის რესურსი რეალურად გაქვთ? საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებითაც, მახსოვს, სწორედ ასეთი პათოსით საუბრობდით, მაგრამ საბოლოოდ, კანონპროექტის გატანა უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე ვერ მოახერხეთ.

— ვეტოს დაძლევის რესურსი, რა თქმა უნდა, რეალურად გვაქვს — 82-ის ნაცვლად, 95 დეპუტატი გვყავს. სხვათა შორის, საკონსტიტუციო უმრავლესობის მისაღებად არცთუ დიდი დრო გვჭირდება. ვფიქრობ, უმრავლესობა ძალიან მალე გაფართოვდება. რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, ვისაც სჯეროდა, რომ სააკაშვილსა და მის გუნდს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი ჰქონდა, ამ ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, ეს ილუზია ბოლომდე გაუქარწყლდა.

— ნაციონალური მოძრაობა 19 აპრილს პოლიტიკურ რევანშს აანონსებს და აცხადებს, ამ აქციის შემდეგ, საქართველო ახალ რეალობაში იცხოვრებსო...

— აქციის ორგანიზება ნაციონალური მოძრაობის კონსტიტუციური უფლებაა, ამიტომ ხელს შევუწყობთ, მიტინგი ყოველგვარი სამართალდარღვევის გარეშე ჩატარდეს. ისე, დრო შეიცვალა — ადრე აქციებს ჩვენ ვატარებდით, ახლა ხალხს ქუჩაში გამოსვლას ნაციონალური მოძრაობა სთხოვს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის განცხადებას, დავეთანხმები და ვიტყვი, რომ 19 აპრილის შემდეგ, მართლაც, სხვა რეალობაში ვიცხოვრებთ. 19 აპრილს, რუსთაველის გამზირზე ყველა დაინახავს, რომ ნაციონალური მოძრაობის ძლიერების შესახებ მითი მხოლოდ და მხოლოდ გაზვიადებულია.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალები მოსახლეობას, აქციაზე მისვლის სანაცვლოდ, ფულსა და ბენზინის ტალონებს ურიგებენ, მაგრამ ამაში ანტიკონსტიტუციურს ვერაფერს ვხედავ. კი ბატონო, დაარიგონ, როგორც ჩანს, ფულის ნაკლებობას არ უჩივიან! სხვათა შორის, იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციაზე წასვლის სურვილიც გამოთქვან, რადგან მიხეილ სააკაშვილს კარგად ვიცნობ და ვიცი, რამდენად არაპროგნოზირებადია — აზრს დღეში რამდენჯერმე იცვლის, თუმცა არ მესმის, ვის უნდა მოუწყონ პროვოკაცია, საკუთარ მხარდამჭერებს?!

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ 19 აპრილის აქციაზე მიხეილ სააკაშვილმა, შესაძლოა, პრეზიდენტის პოსტი დატოვოს...

— არ მგონია, მიხეილ სააკაშვილს ამ ნაბიჯის გადასადგმელად პოლიტიკური ნებისყოფა ეყოს. სიმართლე გითხრათ, არ ვარ მიშას გადადგომის მომხრე, პირიქით, კარგი იქნება, თუ პოსტს ვადის ამოწურვამდე შეინარჩუნებს და არჩევნები დათქმულ დროს ჩატარდება. მესმის, ქვეყანაში უამრავი ადამიანი სააკაშვილის მმართველობით გაღიზიანებულია და ალბათ, მისი გადადგომაც ბევრს გაუხარდება, მაგრამ ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება კოალიციისთვის სასიკეთო არ იქნება.

— არადა, თქვენ ის პოლიტიკოსი ხართ, რომელიც სააკაშვილის გადადგომას წლების განმავლობაში ითხოვდით. პოზიცია იმიტომ შეიცვალეთ, რომ კოალიციაში საერთო კანდიდატზე შეთანხმებულები ჯერ არ ხართ და ფიქრობთ, რომ სააკაშვილის გადაწყვეტილება შიგნით ქაოსს გამოიწვევს?

— არა, ეს პრობლემა დღის წესრიგში ნამდვილად არ დგას. საქართველოში უამრავი საპრეზიდენტო კანდიდატია — ყველა მეორე მოქალაქე პრეზიდენტობაზე ოცნებობს და კანდიდატის შერჩევა არც კოალიციაში გაგვიჭირდება, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, ქვეყნის სტაბილურობაზე უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ გვინდა, ავაშენოთ ქვეყანა, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები დაკისრებულ მოვალეობას დადგენილ ვადებში შეასრულებენ. საქართველოში მიმდინარე პროცესებს დასავლეთში გამადიდებელი ლუპით უყურებენ, ამიტომაც ვთქვი, სააკაშვილის გადადგომა ჩვენთვის ხელსაყრელი არაა-მეთქი. სააკაშვილს ეს ნაბიჯი პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რომ გადაედგა, პოლიტიკაში დაბრუნების შანსს მართლაც შეინარჩუნებდა, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში კარგად დავინახეთ, რომ აბსოლუტურად გაუწონასწორებელი პრეზიდენტი გვყავს, რომელმაც დაფინანსების შემცირების მიზეზით, ჯერ რეზიდენციაში შუქი გამორთო, შემდეგ კი, ცისფერ ელექტრომობილს მართავდა. ერთი სიტყვით, მან საკუთარი პოლიტიკური რენომე ბოლომდე გაანადგურა.

— მოსახლეობის ნაწილს პრეტენზიები „ოცნების“ მისამართითაც გაუჩნდა. 14 აპრილს პოლიტპატიმრები დიდ აქციას გეგმავენ, სადაც ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენას მოსთხოვენ.

— საქართველოში სამართლიანობა პირველ ოქტომბერს აღდგა. მოდით, გავაანალიზოთ, რა ვითარებაში ვცხოვრობთ: საზოგადოება, წლების განმავლობაში, შეშინებული სახეებით დადიოდა, დღეს ეს შიში დაიმსხვრა, ბიზნესს არავინ ერჩის, მარკეტებში პროვოკატორები, რომლებიც გამყიდველებს უკანონო ქვითრის გამოწერას აიძულებდნენ, აღარ შედიან, მედია თავისუფალია... რა გვექნა, გამარჯვების დღიდანვე, მიხეილ სააკაშვილის საქციელი გაგვემეორებინა და სასამართლოში შევჭრილიყავით, მოსამართლეები დაგვეჭირა და ამ გზით სტრუქტურა სრულიად დაგვემორჩილებინა?! ამ შემთხვევაში, ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი კი არა, „მიხეილ სააკაშვილი 2“ გვეყოლებდა. ქართულ ანდაზას გაგახსენებთ, შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო. ჩვენი გუნდი სწორედ ამ გზას ადგას, რომელსაც პოლიტიკური ავანტიურისტები ვერ შეარყევენ. ჩვენ ისეთი სამართლიანობისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომელსაც ობიექტური და დამოუკიდებელი სასამართლო დაადგენს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ივანიშვილი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობას არ მიიღებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს, რომელიც 7-8 აპრილს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართება, არ დაესწრება, — ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს.

ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მიიღებენ.

ბაქოში ეკონომიკური ფორუმის გამართვაზე ინფორმაცია აზერბაიჯანულმა მედიამ გაავრცელა. მისი ცნობით, ფორუმს აზერბაიჯანის პირველ პირთან, ილჰამ ალიევთან ერთად, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც უნდა დასწრებოდნენ, თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია უარყო.

აღსანიშნავია, რომ ბაქოში ივანიშვილის გამგზავრების შემთხვევა პირველი იქნებოდა, როცა მას პრემიერ-მინისტრის რანგში პუტინთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემოდა. როგორც ცნობილია, ივანიშვილი თავის რუს კოლეგას, დიმიტრი მედვედევს მიმდინარე წლის დასაწყისში, დავოსში, სწორედ ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში შეხვდა.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ფორუმში პუტინის გარდა, ყირგიზეთის პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და ღონისძიების ორგანიზატორი ორგანიზაციის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელი კლაუს შვაბიც მიიღებენ მონაწილეობას.

ფორუმის მონაწილეები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში არსებულ ეკონომიკურ პერსპექტივებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე იმსჯელებენ. დაგეგმილია მასში მონაწილე ლიდერების სიტყვით გამოსვლაც.

ღონისძიების ორგანიზატორი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმია.

„მედიანიუსი“

დავით უსუფაშვილი პოლონეთს ეწვევა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, 8-10 აპრილს ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკას ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ვარშავაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის, სენატის თავმჯდომარე ბოგდან ბორუსევიჩს და სეიმის თავმჯდომარე ევა კოპაჩის შეხვდება.

ასევე, დაგეგმილია შეხვედრები საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან, პოლონეთი-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფთან, პოლონეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ვარშავაში ვიზიტისას პარლამენტის თავმჯდომარე უცნობი ჯარისკაცის საფლავს გვირგვინით შეამკობს და პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის სტუდენტებსაც შეხვდება.

„პირველი“

19 აპრილის აქციისთვის ნაციონალები ფულსა და ბენზინის ტალონებს არიგებენ?!

მე-3 გვერდიდან

პოლიტპატიმრების კარგად მესმის, მეც წლების განმავლობაში, პოლიტპატიმარი ვიყავი და ისიც ვიცი, რომ ვინც ამ ადამიანებს უსამართლოდ მოექცა, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ ჩვენ უფრო დიდი ცოდვა არ უნდა ჩავიდინოთ. თუ შურისძიების ტალღას ავაგორებთ, მერწმუნეთ, მტყუანისა და მართლის გარჩევა გაგვიჭირდება. გპირდებით, ვინც დანაშაული ჩაიდინა, დაუსჯელი არ დარჩება!

— კოალიციისთვის არც ის ადამიანები წარმოადგენენ პრობლემას, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგებად ითვლებიან, მაგრამ დღემდე თანამდებობებს ინარჩუნებენ?

— ციხიდან 15 ათასი პატიმარი გამოვუშვით, რომელთაგან ყველა უდანაშაულო ნამდვილად არ ყოფილა. პირიქით, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი კრიმინალი იყო, მაგრამ თუ პოლიციელებს იმ მიზეზით გავათავისუფლებთ, რომ ისინი მიტინგზე დასარბევად გამოიყენეს, საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით და სისტემის ხელახლა აშენება დაგვჭირდება, რისი ფუფუნებაც შს სამინისტროს არ აქვს.

შესაძლოა, დამნაშავეები თანამდებობებს დღემდე ინარჩუნებენ, მაგრამ ყველას საკადრის ადგილს მივუჩენთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრიმინალთან ბრძოლის პროფესიონალები სამსახურებიდან ხელაღებით გავათავისუფლოთ. თუ ასე მოვიქცევით, მოსახლეობას კრიმინალური სიტუაციის გაუარესებისთვის გავწირავთ, ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ, დანარჩენს კი დრო თავისთავად დაალაგებს.

2013 წელს მსოფლიოში 15 ჟურნალისტი მოკლეს

2013 წლის განმავლობაში ჟურნალისტურ საქმიანობას უკვე 15 რეპორტიორი შეეწირა — ამ ინფორმაციას საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ავრცელებს.

2013 წლის 1 იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით, ხუთი ჟურნალისტი პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს, პაკისტანში მოკლეს, 5 — სირიაში, 2 — ბრაზილიაში, 1 მექსიკაში, 1 — სომალიში და 1 — პარაგვაიში.

გარდა ამისა, პოლიტიკური მოტივებით მსოფლიოს მასშტაბით, 180 ჟურნალისტი დააკავეს.

ჟურნალისტთა უფლებების დამცველი ზემოხსენებული ორგანიზაცია იმ მსოფლიო ლიდერების სიასაც აქვეყნებს, რომლებიც თავის ქვეყნებში მედიის მუშაობას ხელს უშლიან, მათ შორის არიან, რუსეთის პირველი პირი ვლადიმერ პუტინი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ყაზახეთის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი, ჩეჩნეთის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, სირიის ლიდერი ბაშარ ასადი, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი, კუბის ლიდერი რაულ კასტრო, ზიმბაბვეს მმართველი რობერტ მუგაბე, ჩრდილოკორეას ლიდერი კიმ იონგ უნი და სხვა.

„მედიანიუსი“

ივანიშვილის გაპრემიერების შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს 60 მილიონი ევრო გამოუყო

ალექსი პეტრიაშვილი დარწმუნებულია, რომ ე.წ. ბელორუსული ნარკოსკანდალი საქართველოს ნატო-სა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას ვერ შეაფერხებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პროექტ „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, ჟურნალისტების შეკითხვებს ევროინტეგრაციის საკითხების სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა უპასუხა. ამასთან, მედიას საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები, მისი უწყების მიერ გადადგმული ნაბიჯები და სამოქმედო გეგმა გააცნო. ალექსი პეტრიაშვილმა კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის საგარეო პრიორიტეტი ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციაა, თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს პრიორიტეტი არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ, სრულიად საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის ნებაა.

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით, ხელისუფლება კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარა, ევროატლანტიკური კუთხით მართლაც ბევრი რამ გაკეთდა:

„ეს, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პირველი, ოფიციალური ვიზიტია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ბრიუსელში, სადაც გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრები, როგორც ევროკავშირში, ასევე, ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით. ნატო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის მოთხოვნა დააფიქსირა, რომ მორიგი, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი სწორედ ჩვენს ქვეყანაში შედგეს. 2008 წლიდან ეს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს — ნატო-ს გენერალური მდივნისა და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ელჩების — რიგით მესამე ვიზიტი იქნება. ნატო-სგან უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გზავნილი მივიღეთ, რომ ამ ტიპის შეხვედრა საქართველოში შედგება და ამ შეხვედრაზე ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტის — ნატო-ში გაწევრიანებისკენ გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯები განიხილება.“ ალექსი პეტრიაშვილის თქმითვე, საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში, კერძოდ, ავღანეთში. პეტრიაშვილი მადლობას უხდის იმ ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც ავღანეთის ოპერაციებში, საკუთარი თავდადებით, საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენს ქვეყანას საუკეთესოდ წარმოაჩენენ.

რაც შეეხება ევროკავშირთან მოლაპარაკებებს, ალექსი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ განვლილი 5 თვის განმავლობაში, ეს პროცესი წარმატებით დასრულდა:

„სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ბოლო რაუნდი გაიმართა და უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყდა, კერძოდ, ევროკავშირის სამიტზე, რომელიც ვილნიუსში, 28-29 ნოემბერს გაიმართება, საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას შეძლებს. ამის შემდეგ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და ჩვენს საბოლოო მიზანსაც მივაღწევთ“.

პეტრიაშვილის განმარტებით, ასოცირების შეთანხმების პარაფირება მხოლოდ საქართველოს მთავრობის პოზიცია კი არა, ევროკავშირის პოზიციაცაა, რასაც არაფერი ემუქრება.

ამასთან, როგორც პეტრიაშვილი ამბობს, მიმდინარე წელს საქართველო-ევროკავშირს შორის ორი, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეთანხმება გაფორმდა. პირველი შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი საქართველოს 20 000 000 ევროს გამოუყოფს, რათა ქვეყანას ინსტიტუციური მშენებლობის მიმართულებით დაეხმაროს. მეორე ხელშეკრულება კი, სოფლის მეურნეობისა და, ზოგადად, ქართული სოფლის განვითარებას გულისხმობს, რისთვისაც ევროკავშირმა საქართველოს 40 000 000 ევრო გამოუყო.

„ვერსიამ“ ალექსი პეტრიაშვილს შეკითხვა გასული კვირის სკანდალზე დაუსვა. კერძოდ, ერთი კვირის წინ, ბელორუსი-ლიტვის საზღვარზე, ბელორუსმა მესაზღვრეებმა ავტომობილი დააკავეს, რომელშიც 85 კილოგრამი ჰეროინი აღმოჩნდა. რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ავღანური ჰეროინი ლიტვაში, ბელორუსის გავლით უნდა გადაეტანათ. ამ თემაზე „ვერსიაში“ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც ნავარაუდევი იყო, რომ ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი ანტისახელმწიფოებრივი კამპანიაა, რათა ევროკავშირისა და ნატო-ს სამიტების წინ, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, საქართველო წარმოჩინდეს, როგორც ნარკოტრაფიკიორი ქვეყანა. მოახდენს თუ არა რუსული სპეცსამსახურების ანტისახელმწიფოებრივი კამპანია საერთაშორისო თანამეგობრობაზე გავლენას? — ჰკითხა „ვერსიამ“ ალექსი პეტრიაშვილს:

„ამ და სხვა ტიპის ხრიკებს თვალ-ყურს ადრეც ყურადღებით ვადევნებდით და მარტივი პასუხი მაქვს: რა თქმა უნდა, ვერ იმოქმედებს! ჩვენ ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ჩართულები ვართ იმ გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ტერორიზმი, ნარკოტრაფიკი, ჰუმან-ტრეფიკინგი ჰქვია. ცხადია, ამ ბრძოლაში ჩვენი წვლილი შეგვაქვს და საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამთ ევროკავშირთან ერთად. საიდუმლო არაა, რომ ჰეროინის ძირითადი ექსპორტიორი ავღანეთში არსებული ნარკო-დაჯგუფებებია, რომლებიც სხვადასხვა მარშრუტებს იყენებენ. ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს ვაცხადებდით, რომ სავიზო რეჟიმის სრულყოფა და მკაცრი სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია, რათა შემცირდეს და მინიმუმამდე დავიდეს საქართველოს, როგორც ნარკომარშრუტის გამოყენების შესაძლებლობა“.

რადიო „თავისუფლების“ კითხვაზე, როგორც ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი, მიიღებს თუ არა ნაციონალური მოძრაობის მიერ 19 აპრილს დაგეგმილ აქციაში მონაწილეობას, ალექსი პეტრიაშვილმა უპასუხა, რომ სამწუხაროდ, თავს სეირნობის ფუფუნებას ვერ მისცემს, რადგან 19 აპრილს გაცილებით მნიშვნელოვანი გეგმა აქვს — ევროპელ პარტნიორებთან შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. **„საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ მას, ვინც 19 აპრილის აქციაში მიიღებს მონაწილეობას, საზეიმო და სასეირნო განწყობაში ხელი არ შეეშალოს და საკუთარი პოზიცია მშვიდად გამოხატოს“,** — აცხადებს პეტრიაშვილი.

„ოცნება“ და ნაცმოძრაობა კოალიციური მთავრობის შექმნას გეგმავენ?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„სანამ საქართველოში ის წარმოდგენები არ დასრულდება, რომ ყველაფერი ერთი კაცის ბრალია ან ყველაფრის აშენება ერთ კაცს შეუძლია, სულ ასეთ გაოგნებულ მდგომარეობაში ვიქნებით და ისეთი შეკითხვები გაგვიჩნდება, როგორიც ახლა უჩნდება ამომრჩეველს — რატომ არ იჭერენ დამნაშავე ნაციონალებს, რა თამაშს თამაშობენ ოპოზიცია და ხელისუფლება და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს თამაშია და ჩვენც წრეზე დავდივართ, მაგრამ ეს წრე თავისით არ იხატება — ეს კარგად ორგანიზებული მოჯადოებული წრეა, სადაც მხოლოდ ორი ძალაა და გეგმის მიხედვით, სწორედ ეს ორი ძალა უნდა დარჩეს საქართველოში ორპარტიული სისტემის მონაწილედ. ეს ორი ძალა ერთმანეთის არსებობას განაპირობებს“, — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი.

ირინა სარიშვილს საქართველოში ასეთი „უპრასვეტო“ მდგომარეობა არ ახსოვს!

— ქალბატონო ირინა, 19 აპრილისთვის ნაციონალების მიერ დაანონსებული რევანშის ქრონიკაც შეთანხმებული თამაშია?

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 19 აპრილისთვის იმდენი ნაციონალებს არ გაუკეთებიათ, რამდენიც „ოცნებამ“ გააკეთა — ნაციონალები, რა თქმა უნდა, ფულსაც დახარჯავენ და ყველაფერსაც იზამენ, რათა რუსთაველის გამზირი გაავსონ, ოღონდ ცოტა გაუგებარია, სახელისუფლო წრიდან რატომ აცხადებენ სიამაყით, რუსთაველის გამზირი მართლაც გაივსებაო! ამის შედეგად კი ადამიანი, რომელიც ყოყმანობდა, ღირს თუ არა წასვლა ნაციონალების აქციაზე ან გარეთ გასვლა საშიში ხომ არ იქნება, აუცილებლად გადადგამს ნაბიჯს წასვლისკენ! ეს კი, დიდწილად, სწორედ „ოცნების“ დამსახურება იქნება!

გარდა ამისა, ხელისუფლებამ ერთმანეთის მიყოლებით, იმდენი სისულელე ჩაიდინა, ვერ დათვლი: პირველ რიგში, ბენდუქიძის უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ამბავს გამოვყოფ, რომლის შედეგების არგათვლა უკანასკნელ დეგენერატსაც არ შეეფერება. საერთოდ, ბენდუქიძის მიმართ ხელისუფლების პირადი გრძნობები არ მაინტერესებს. აქ საუბარია უნივერსიტეტზე, რომელიც განათლების სისტემის თვალსაზრისით, დაქცეულ ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელია და თუ ასე არაა, სანამ რაღაც ზომებს მიიღებენ, მანამ უნდა ამიხსნან, ამას რატომ აკეთებენ. ვერ დავიჯერებ, რომ ბენდუქიძეზე მეტი დამნაშავე ვერ აღმოაჩინა ჩვენმა ხელისუფლებამ ძველ მთავრობაში — ერთი ახალაია გვყავდა და დაიჭირეს, მეორე დარჩა ბენდუქიძე?!

ყველაზე გამაოგნებელი სისულელე მაინც საკონსტიტუციო ცვლილებებზე სარეიტინგო კენჭისყრა იყო. რაც ამ საკითხზე თავისი უტვინო პიარით „ოცნებამ“ გააკეთა, ნაციონალები, ალბათ, წლები მოუნდებოდნენ, რომ ამ შედეგისთვის მიეღწიათ. იმის ნაცვლად, მასხრად აეგდოთ ნაციონალების ეს მოთხოვნა, „ოცნებამ“ ორი დღე „აპიარა“, როგორც ტრაგიკული ამბავი, მერე უსუფაშვილი ჯერ „ძველი ბიჭი“ გახდა და მთელ პარლამენტთან იკამათა, ბოლოს კი მაინც თავი წახარა — უსუფაშვილს მოუნდა ცოტნე დადიანობა, აჰა, თაფლი წავისვი, გამოსული ვარ და ჩემი ქვეყნისთვის ყველაფერს გავაკეთებო! ეს სანახაობა ისეთი გულისამრევი გახდა, სასაცილოც აღარ იყო! მოკლედ, სულ მალე მივიღებთ ახალ უმრავლესობას და ეს იქნება ნაციონალურ-რესპუბლიკური უმრავლესობა!

— ექსპერტთა და „ოცნების“ მხარდამჭერთა ნაწილი მიიჩნევს, 2013 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, რომლის შედეგადაც ნაციონალები პარლამენტში ვეღარ მოხვდებიან და „ოცნების“ „ბალასტიც“ გაიცხრილება!

— თუ ასეა, მაშინ ყველას თავის ოცნებას შევახსენებ: როცა ივანიშვილმა გვერდით მიუღებელი ხალხი დაიყენა, მისი მხარდამჭერები ამბობდნენ, ახლა ასეა საჭირო და არჩევნების მერე ყველაფერი შეიცვლებაო. როცა ამ ჭიაღუებს მილიონები ჩამოურიგა, თქვეს, ფულით მოიშორა თავიდან და პარლამენტში აღარ შეიყვანსო, როცა პარლამენტშიც შევიდნენ, თქვეს, თანამდებობებს მაინც არ მისცემსო, მაგრამ ისიც ვნახეთ, რომ რეალურ საპარლამენტო თანამდებობებზე სწორედ „რესპუბლიკელები“ არიან. ახლა ახალი ზღაპარი უნდა დავიწყოთ და მუდმივი ოცნების მდგომარეობაში ვიყოთ?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ოცნება“ ნაციონალებს ეხმარება, რათა ეს დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა ძირითად ოპოზიციად დარჩეს, რაც ორივე მხარეს აწყობს.

— ანუ არავის აწყობს ალტერნატიული ოპოზიციის — ე.წ. მესამე ძალის გამოჩენა?

— ამ პროცესს ორივე — „ოცნებაცა“ და ნაცმოძრაობაც ხელს გააფთრებით უშლის. მესამე ძალის გამოჩენის თვალსაზრისით, ქვეყანაში ჯერ ყამირი ნიადაგია! დანარჩენმა პარტიებმა ის მაინც უნდა „მოტვინონ“, რომ ახლა გაერთიანებაა აუცილებელი, რათა რომელიმე მედიასაშუალების ყურადღება მაინც მიიქციონ. რაც შეეხება სხვა ძალებს, ნინო ბურჯანაძის ფიგურა ავიღოთ და იმას, რომ ძალიან ბევრს არ უყვარს, თავი დავანებოთ, ამ ქალს ყველას მიმართ ისეთი არათანაბარი დამოკიდებულება აქვს, სხვას თუნდაც თავის დღევანდელ უმძიმესი მდგომარეობასაც არ გაუნაწილებს. ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატობის სერიოზული შანსი აქვს.

ვახტანგ ხმალაძე გამორიცხულია, ბურჯანაძეს კი, მისი „პოლიტიკური ზურგიდან“ გამომდინარე, აქვს შანსი და დამიჯერეთ, ვიცი, რასაც ვამბობ — მას სერიოზული ლობი ჰყავს, მაგრამ ყოვლად გამორიცხულია, მისი საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება „რესპუბლიკელებმა“ დაუშვან და ეს ის შემთხვევაა, მთელი სამყარო ბურჯანაძის მხარეს რომ იყოს, მაინც არ მოხდება! არც იმას გამოვრიცხავ, საქართველოში სალომე ზურაბიშვილის მოხმობა სწორედ ამას ნიშნავდეს — ბურჯანაძესთან შედარებით, მის კანდიდატურას ათი ხელით მიესალმებიან „რესპუბლიკელები“!

პარადოქსულ ვითარებაში ვართ: აქამდე ხელისუფლება იყო ერთმუშტად შეკრული და ოპოზიცია — დაქსაქსული. ახლა კი, ოპოზიციაა ერთმუშტად, ყველა დანარჩენი კი ხელისუფლების ხმის გამყოფია! ყველაფერ ამას შეიძლება, ორი ახსნა ჰქონდეს: „ოცნებას“ ეს ან მეტისმეტი იდიოტობისგან მოსდის, ან ყველაფერს შეგნებულად აკეთებს, რათა კოალიციურ მთავრობამდე მივიდეთ!

— ანუ, შიში, რომ თუნდაც 19 აპრილის ან ნებისმიერი სხვა აქცია და არჩევნები ძალისმიერი დაპირისპირების ფონზე ჩაივლის, ფუჭია?

— ჯერჯერობით, გვრიტებივით ჟღურტულებენ, მაგრამ თუ რომელიმე მხარეს ეს რამეში დასჭირდა, მინიკონფლიქტის გათამაშება ყოველთვის შეიძლება! უბრალოდ, „ოცნებამ“ ერთი რამ არ იცის: ნაციონალებს რაზეც უნდა შეუთანხმდეს, ისინი ავტომატურ რეჟიმში „გადააგდებენ“. მით უმეტეს, ახლა ბიძინა ივანიშვილს ძალიან არაპოპულარული გადაწყვეტილება აქვს მისაღები აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე!

— ოკუპაციის კანონში შესატან ცვლილებებს გულისხმობთ?

— საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ეს პროცესი სააკაშვილმა 8 აგვისტოს ომით დაიწყო, ამას მოჰყვა მამუკა არეშიძისა და რამდენიმე ზონდირებული ადამიანის განცხადება, ვაღიაროთ სამი ქართული სახელმწიფოო და რესპუბლიკური პარტიაც, რაც არსებობს, იმ დღიდან სწორედ ამაზე საუბრობს. ახლა პაატა ზაქარეიშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ვნახოთ, სადაც საერთოდ სამ ქვეყანაზეა საუბარი. ავიღოთ ახალი კანონი ოკუპაციის შესახებ — ეს ნაკლებსახიფათოა, მაგრამ იმის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანია, რომ მათი დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებენ. ყველაფერი ეს ნაციონალების გეგმაშიც იყო, უბრალოდ, ისედაც „თავმოჭრილი“ ხელისუფლებისგან ეს ნაბიჯი არავის გაუკვირდებოდა, ახლა კი გადაწყვეტილება ახალსისხლგადასხმულმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს. ჰოდა, შედგება თუ არა ეს რიგგარეშე არჩევნები და ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ, მანამდე მოხდება თუ მერე, ამას მნიშვნელობა არ აქვს! რა უნდა ქნას ადამიანმა, ვისაც ამ ან ნებისმიერი სხვა საკითხის გაპროტესტება სურს? — რაც უნდა საპროტესტო აქცია მოაწყოს და გარეთ გამოვიდეს, ამით ნაციონალების, როგორც ერთადერთი მსუნთქავი ოპოზიციის გვერდით დგომა გამოუვა?! არ ვიცი, დანარჩენ ძალებს რომელი ხარისხის შოკი აქვთ მიღებული, მაგრამ ყველა ისევ ისე, ცალ-ცალკე „უბერავს“! 25 წელია, პოლიტიკაში ვარ და, სლენგი რომ ვიხმარო, ასეთი „უპრასვეტო“ მდგომარეობა საქართველოში არ მახსოვს!

ვერსიანიუსი

საქართველოს ევროსაბჭოს მონიტორინგის წარმომადგენლები ეწვევიან

საქართველოს ხუთდღიანი ვიზიტით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლები ეწვევიან. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საქართველოზე თანამომხსენებელი დანიიდან მაიკლ ასტრუპ იენსენი, საქართველოზე თანამომხსენებელი ლატვიიდან ბორის სილევიჩი და მონიტორინგის კომიტეტის მდივანი ბას კლეინი.

ვიზიტი ევროსაბჭოს წარმომადგენლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრით დაიწყება. დაგეგმილია შეხვედრა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთანაც. შეხვედრის დასრულებისთანავე, ევროსაბჭოს წარმომადგენლები მთავრობის კანცელარიაში გაემგზავრებიან, სადაც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს შეხვდებიან.

ვიზიტის მეორე დღეს ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთს მოინახულებენ, ახალციხესა და ახალქალაქში გამართავენ შეხვედრებს.

დაგეგმილია შეხვედრები რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან ზურაბ აბაშიძესთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე დავით ზალკანიანთან, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილსა და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლებთან.

იმავე დღეს, მაიკლ იენსენი და ბორის სილევიჩი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებსა და ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრებს შეხვდებიან.

ვიზიტის ბოლო დღეს, ევროსაბჭოს მონიტორინგის წარმომადგენლები იუსტიციის სახლში გამართავენ შეხვედრას, სადაც ისინი იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძეს, კონსტიტუციური კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდებიან. აქვე გაიმართება შეხვედრა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთან.

ვიზიტის ბოლოს იენსენი და სილევიჩი შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავენ.

ევროსაბჭოს დელეგაცია საქართველოს 12 აპრილს დატოვებს.

„ჯი-ეიჩ-ენი“



„რაბათი ჩვეულებრივი „ფუნდუკია“!

რა ინფორმაცია მიაწოდა თურქმა ბიზნესმენმა ელიზბარ ჯაველიძეს და რამდენი ათასი თურქი ჩამოსახლდა ბოლო დროს აჭარაში

ეროსუდან შელია
557-100-768

საქართველოს კულტურის სამინისტრო რაბათის ციხის ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარებას გეგმავს — წინა ხელისუფლების დროს რესტავრაციისას დაშვებული ხარვეზები უნდა გაასწოროს. საუბარია რაბათიდან ქრისტიანული სიმბოლოების მქონე ბარელიეფების გატანაზეც... თურქოლოგი და სახალხო კრების მთავარი საბჭოს წევრი ელიზბარ ჯაველიძე „ვერსიასთან“ რაბათის ციხის მნიშვნელობასა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.

— ვანო მერაბიშვილის კულტურის სამინისტროში სტუმრობამ ნამდვილად გამაოცა. ადამიანი, რომელიც ახალგაზრდებს ქუჩაში უმოწყალოდ ხოცავდა და რომელსაც პირადად ჩემი ოჯახი 26 მაისს ბეწვზე გადაურჩა, დღეს ქართულ კულტურასა და რაბათის ხელშეუხებლობაზე პროფესიონალი ხუროთმოძღვარივით გველაპარაკება.

— მერაბიშვილი აცხადებს, რომ რაბათის ციხის დასაცავად მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოიყენებს. რეალურად, რა ხდება კომპლექსის ირგვლივ?

— დღეს საკამათო ის კი არაა, ქონგური ოქროსფერი იქნება თუ ცისფერი, პრობლემა ისაა, რაბათის მნიშვნელობა და ფუნქცია, პრაქტიკულად, არავის ესმის. რაბათი ჩვეულებრივი „ფუნდუკი“ ანუ სასტუმრო იყო, სადაც დერვიშები ისვენებდნენ. მსგავს რაბათებს აღმოსავლელი მოგზაურებისთვის დავით აღმაშენებელიც აშენებდა. საქართველოში რაბათის ციხესიმაგრე მე-6 საუკუნის მიწურულს, დაახლოებით, 1573 წელს აშენდა. მაშინ სპარსეთი და თურქეთი ერთმანეთს ებრძოდა და საქართველოს ტერიტორიებს იყოფდა. როცა თურქეთის ლაშქარმა სპარსელები დაამარცხა, მურად მესამის ხელმძღვანელობით, თბილისისკენ დაიძრნენ, მაგრამ ქართველებმა მტერი ორჯერ მოიგერიეს. ამის შემდეგ, მურად მესამე მიხვდა, რომ საქართველოს საზღვარზე ფორფოსტი უნდა აეშენებინა და ასეც მოიქცა — სამცხე-საათაბაგოში ფეოდალებს შორის ურთიერთკინკლაობის ფონზე, ჯაყელების ციხე — „ახალციხის ლომისი“ დაანგრია და მის ადგილას ახალი ციხესიმაგრე ააშენა. ეს წმინდა თურქულ-ოსმალური პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელსაც მაშინ მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზია ჰქონდა. ამ ციხესიმაგრის აშენებით მათ დანარჩენ მსოფლიოს განუცხადეს, საქართველო ჩვენს დაქვემდებარებაშიაო.

ციხის აშენების შემდეგ, მურად მესამემ ახალციხის საფაშოც დააფუძნა, რომელსაც „ქილდილი“ უწოდა. ერთი სიტყვით, მაშინ ჩვენი ტერიტორია ჩამოგვერთვა. ნაციონალურმა მოძრაობამ სწორედ ეს ციხესიმაგრე აღადგინა.

— ესე იგი, ამტკიცებთ, რომ რაბათის ციხის აღდგენით ნაციონალურმა მოძრაობამ თურქული პოლიტიკა გაატარა, მაგრამ თუკი ასეა, თურქული მხარე კომპლექსში ჩასწორებებს რატომღა ითხოვს?

— მხოლოდ რაბათთან დაკავშირებით კი არა, თურქეთის პრემიერ-მინისტრი ღიად აცხადებს, მსოფლიოზე გალაშქრებას იარაღით არ ვგეგმავთ, ყველა სახელმწიფოს საზღვრებს ვაღიარებთ, მაგრამ ჩვენი ეკონომიკით შევძლებთ, დამასკო და ბათუმი ერთმანეთთან დავაკავშიროთო. ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ თურქებს აჭარაზე დიდი ხანია პრეტენზია აქვთ. მე, როგორც თურქოლოგი, თურქების პოზიციას კარგად ვიცნობ და ერთ მათგანსაც ვერ დაარწმუნებ, რომ აჭარა მათ საკუთრებას არ წარმოადგენს. ასლან აბაშიძე თურქების ბათუმში ჩაწერას კატეგორიულად კრძალავდა და ამბობდა, ვინც ამას გააკეთებს, ოჯახიანად დავაპატიმრებო. როცა ვკითხე, ამას რატომ აკეთებ-მეთქი, მიპასუხა, ბათუმში ერთი თურქიც რომ ჩავწერო, მომავალში მათი ალაგმვა გამორიცხულიაო. საერთოდ, ჩვენ მეზობელ სახელმწიფოს ასეთი თვისება აქვს: შეხედეთ გერმანიას, სადაც უკვე სამ მილიონზე თურქი ცხოვრობს. აჭარაში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, 27 ათასი თურქი ჩაეწერა. ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე აღარაფერს ვამბობ!

— საქართველოში არაერთი მეჩეთი ფუნქციონირებს და ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობამ რა პრობლემები უნდა შექმნას?

— დიახ, საქართველოს მასშტაბით არაერთი მეჩეთი ფუნქციონირებს, მაგრამ ის, რომელიც ბათუმში უნდა აშენდეს, დამატებითი დატვირთვის შემცველი იქნება — იქ მოამზადებენ ბავშვებს, რომელსაც შემდეგ, მაღალმთიან აჭარაში გაგზავნიან, ერთი სიტყვით, ახლა ქართველებს იარაღით კი არა, პოლიტიკურად გვიპყრობენ.

> **მეტიც, დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ სააკაშვილმა აჭარა გაყიდა. არცთუ დიდი ხნის წინ, ერთი თურქი ბიზნესმენი შემხვდა, რომელმაც პირდაპირ მითხრა, თურქებმა აჭარა ძალიან იაფად დავიბრუნეთო.**

— ე.წ. თურქი მესხების დაბრუნებაც ამავე პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ?

— მაშინ, როცა საკუთარი მოსახლეობა დაუბინავებელი გვყავს, გაუგებარია, რატომ უნდა ჩამოვასახლოთ ათასობით თურქი მესხი, რომელიც თავის დროზე, საქართველოდან სტალინმა გადაასახლა. გამცეს ხელისფლებამ პასუხი, რატომ ავიღეთ ქართველებმა თურქების წინაშე ეს ვალდებულებები? სხვათა შორის, აქ კოსმოპოლიტური ძალაც აქტიურადაა ჩართული, „რესპუბლიკურ“ პარტიას ვგულისხმობ, რომელსაც ქართულ პოლიტიკაში „სტოსი“ მიყავს. როცა მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გვეუბნება, საქართველომ ევროპის ენათა ქარტიის პირობები უნდა აღასრულოსო, ამიხსნას, რატომ არ ეკითხება საკუთარ მოსახლეობას, გვინდა თუ არა რეგიონული ენების შესახებ ქარტიის რატიფიცირება? ქართველები ისედაც იმ ერებს შორის ვითვლებით, რომლებიც 2050 წლამდე უნდა გაქრეს, ამ დროს კი ჩვენ მიწებს ინდოელები და ჩინელები ეპატრონებიან. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს ვკითხე, ქართველებმა სადღა ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ მესმის, ის დღეს ორ პოლიტიკურ ცეცხლს შუაა: ერთი მხრივ, დასავლეთი ექაჩება, მეორე მხრივ, „რესპუბლიკელები“ კვანტს უდებენ. რატომღაც ქვეყანაში შეიქმნა აზრი, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთადერთ ოპოზიციური ძალაა, მაგრამ ნაციონალების ის გუნდი, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, სისხლისმღვრელი რეჟიმის ნარჩენია. ამ პროცესს რატომღაც ხელისუფლებაც ხელს უწყობს.

— ბატონო ელიზბარ, იზიარებთ შეთქმულების თეორიას, რომ კოალიცია და ნაციონალური მოძრაობა ერთ პოლიტიკურ თამაშს თამაშობენ?

— ნაციონალური მოძრაობის დემოკრატიის განსახიერებად წარმოჩენა, როგორც ჩანს, დასავლეთის ინტერესებში შედის. სწორედ აშშ-მ შექმნა საქართველოში ორპარტიული სისტემა და თანაც ისე, რომ პარლამენტში ორივე პოლიტიკური ძალა მისი ინტერესების გამტარებელია. აი, ესაა მიზეზი, რომ „ოცნება“ ხალხისთვის მიცემულ დანაპირებს — სამართლიანობის აღდგენას და გარე ძალების ქვეყნის მართვაში ჩაურევლობას — ვერ ასრულებს. ის კი, დენს ნახევარ თეთრს დააკლებ თუ არა, მხოლოდ პოლიტიკური მასხარაობაა.

— არჩევნების შემდეგ სახალხო კრებამ კოალიციას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეთ და განაცხადეთ, ახალ მმართველ გუნდს ოპონირებას არ გავუწევთო. ახლა, როცა გარკვეულ საკითხებზე უკმაყოფილებას გამოთქვამთ, არ ფიქრობთ, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ?

— არჩევნების შემდეგ სხვა გზა არ გვქონდა, თუ ხმას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ამოვიღებდით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის უნდა დაგვეჭირა მხარი, არადა, სახალხო კრების თითოეული წარმომადგენლისთვის ნაციონალები ნომერპირველი მტრები არიან. პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს ეკისრება, რადგან მის გარეშე ვერც ერთი ამჟამინდელი დეპუტატი პარლამენტში ვერ შევიდოდა.

> **თუ პრემიერმა ხალხის მოლოდინი არ გაამართლა, საქართველო დაიღუპება. მართალია, ხალხი ბიძინა ივანიშვილს ვერაფერს უზამს — ერთ დღესაც ადგება და იტყვის, წავედიო, მაგრამ ვის ხელში დატოვებს საქართველოს — აი, ეს არის მისი მისამართით ძირითადი შეკითხვა.**

ზოგადად, ქართველი ხალხი პოლიტიკოსების მიმართ დაუნდობელია. კარგად მახსოვს, ზვიად გამსახურდია მოსახლეობის უმრავლესობამ აირჩია, მაგრამ რამდენიმე თვეში საქმე ქვეყნიდან გასაქცევად გაუხდა. ისიც მახსოვს, როგორ ეხვეწებოდნენ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში ჩამოსვლას, აღმერთებდნენ კიდეც, მაგრამ მისმა გაზრდილმა ლეკვებმა ბოლოს პანღური ამოკრეს. მერე სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში და ფიქრობდა, ქვეყნის მმართველი მინიმუმ 30 წელი იქნებოდა, მაგრამ ახლა თვალს მის პოლიტიკურ დასასრულს ვადევნებთ. შესაბამისად, თუ ის უკმაყოფილება, რომლითაც საზოგადოებასთან ერთად მეც შეპყრობილი ვარ, არ გამოსწორდება, დღევანდელი ხელისუფლებაც ცუდად დაამთავრებს.

> **ნუ გველაპარაკებიან კოჰაბიტაციაზე მაშინ, როცა ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ იციან და ის გააკეთონ, რასაც ხალხი მათგან ითხოვს — სამართლიანობა აღადგინონ!**

ვერსიანიუსი

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, თურქეთი აჭარის მიერთებაზე სერიოზულად ფიქრობს

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს აჭარის თურქეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება.

„გასული საუკუნე უკვე ის გვერდია, რომელიც გადავფურცლეთ. ახლა ჩვენ დავამყარებთ ახალ კავშირებს სარაევოსა დაა დამასკოს, ბენღაზსა და ბათუმს შორის. ამჯერად, ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი გზით, არავისთან ვიომებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ, ახლა ამაშია ჩვენი ძალა. დღეს ეს სრულიად სხვა ქვეყნებია, მაგრამ 110 წლის წინ იემენი და სკოპიე, ბათუმი და ბენღაზა იყო ერთი ქვეყნის — ოსმალეთის იმპერიის ნაწილი. ვამბობ რა ამას, ჩვენ ვიღებთ მათ გამოწვევას, რომლებიც ცეცხლს გაგვიხსნიან, ბრალს დაგვდებენ ნეო-ოსმალიზმში, მაგრამ თუ ასეა, ისინი, ვინც გააერთიანა მთელი ევროპა, რატომ არ იწოდებიან ახალ რომაელებად?“ — განაცხადა რამდენიმე დღის წინ დავუთოღლუმ.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარის, ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, **„აშკარაა, რომ თურქეთს შორსმიმავალი გეგმები აქვს. თურქეთი ოსმალეთის იმპერიის შენებას იწყებს და სერიოზულად აპირებს აჭარის თურქეთისთვის მიერთებას ყოველგვარი ომისა და შეიარაღებული თავდასხმის გარეშე, რაშიც, სამწუხაროდ, წლებია, სააკაშვილის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს.“**

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მოუწოდებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ახსნა-განმარტებები მოსთხოვოს თურქეთის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს დავუთოღლუს განცხადებაზე. ამასთან, მჟავანაძე თურქეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს.

„მედიანიუსი“

მარტვილელ „ოცნებელთა“ ნაწილი შიმშილობას იწყებს

კოალიცია „ქართული ოცნების“ მარტვილის ორგანიზაციის წევრები პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის მოთხოვნით, თბილისში, კანცელარიის შენობასთან შიმშილობის დაწყებას აპირებენ.

აქციის 60-მდე მონაწილის განცხადებით, სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, მარტვილში არსებულ ვითარებაზე პრემიერ-მინისტრი სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობს. მათი თქმით, მარტვილში არც ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე მომხდარა ცვლილებები და არც დამნაშავე პირები დასჯილან.

„ჩვენ ვთვლით, რომ მას არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, თუ რა ხდება სამეგრელოში, კერძოდ, მარტვილის რაიონში. ჩვენ არ დავუშვებთ „ნაციონალების“ დაბრუნებას ხელისუფლებაში, მით უმეტეს, ქართული ოცნების სახელით. გვინდა ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური საქართველოს მშენებლობა და არა სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების და გოროზიების მართულ ქვეყანაში ცხოვრება“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მევლუდ კეშელავამ. მისივე თქმით, აქციის მონაწილეები შიმშილობას ერთადერთი მიზეზით — პრემიერ-მინისტრთან შეხვედრით იწყებენ. **„მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომას, შიმშილობას ერთადერთი მოთხოვნით — შევხვდეთ ბიძინა ივანიშვილს“,** — განაცხადა კეშელავამ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მარტვილიდან თბილისში 300-მდე ადამიანი ჩამოვა და მთავრობის კანცელარიასთან გამართულ აქციას შეუერთდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

აბორტის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა კანცელარიასთან ერთმანეთს აგინეს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

7 აპრილს, ხარებას, ეროვნულმა ფრონტმა, აბორტის აკრძალვის მოთხოვნით, სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია გამართა. კანცელარიასთან ორგანიზაცია „ფემინისტების“ წარმომადგენლებიც მივიდნენ პლაკატებით: „ემბრიონი არ არის ადამიანი. აბორტი არ არის ადამიანის მკვლელობა!“ „კრიმინალიზაცია არ იწვევს აბორტების შემცირებას!“ „დედობა არჩევანი და არა — მოვალეობა!“ „შორს შენი რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულისგან!“ აქციაზე თინეიჯერულად ჩაცმული, საშუალო ასაკის ქალბატონი გამოჩნდა, რომელიც თავს სალათისფერი სათვალით იწონებდა. ქალბატონმა ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებს მოსთხოვა, ამიხსენით, აბორტის აკრალვას რატომ ითხოვთო.

— ადამიანის მკვლელობა კანონმდებლობით დასჯადია, — აუხსნა ახლგაზრდა ვაჟმა.

— კი, მაგრამ რომელი ადამიანის მკვლელობა?

— ჩანასახიც სულიერი არსებაა და ჩვეულებრივი ადამიანია, — თავაზიანად მიუგო ყმაწვილმა.

— ჩემთვისაც ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აბორტი ავკრძალოთ, — სათვალე გაისწორა თინეიჯერულად შემოსილმა დიაცმა.

— სად მუშაობთ? — დაინტერესდა ყმაწვილი.

— უმუშევარი ვარ, 54 წლის ვარ, შვილო, ამ ასაკში აღარ მუშაობენ. საქართველოში აკრძალულია ჩემი ასაკის ხალხის მუშაობა... თქვენს რელიგიურობას ყველას თავს ნუ ახვევთ.

— თქვენ, უბრალოდ, უნარი არ გაქვთ გამრავლების... ფიზიკურად ნაკლოვანები ხართ, — შეეკამათა დიაცს ვაჟი.

— ჩვენ შვილები გვყავს, — ბიჭს სიტყვა მოუჭრა ქალბატონმა, რომელიც თინა ბილიხოძედ გამეცნო.

— ყოველ ადამიანს აქვს თავისი გემოვნება და თვითონ გადაწყვეტს, რა გააკეთოს, არავის აქვს უფლება, ვინმემ დასაჯოს. ქალი თვითონ უნდა წყვეტდეს, რა გაუკეთოს თავის სხეულს, — ამბობს ქალბატონი თინა.

ეროვნული ფრონტის, ვებ-გვერდი „სიბრძნე. გე“-სა და ორგანიზაცია „ზნეობრივი საქართველოსთვის“ წევრები კი ამტკიცებდნენენ, რომ „ემბრიონის მოშორება ისეთივე დანაშაულია, როგორც ზრდასრული ადამიანის მკვლელობა“. „ქართველი მრევლი მივმართავთ საქართველოს მთავრობას, საკანონმდებლო დონეზე მოახდინოს აბორტის კრიმინალიზაცია-აკრძალვა. ლიცენზირებულ გინეკოლოგებს აბორტის კეთება აეკრძალოთ. აბორტი მკვლელობა და ერის გენოციდისკენ გადადგმული ნაბიჯია. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ყოველდღიურად 90-მდე აბორტი კეთდება, არაოფიციალური მონაცემებით კი, ეს რიცხვი სამჯერ მეტია. გაერო-ს სტატისტიკით, საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა აბორტების რაოდენობით. ეს კი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ეროვნული კატასტროფა და ოჯახისა თუ ქართული ტრადიციების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია... თუ ოჯახს შვილის გაზრდა არ შეუძლია, არსებობს ქრისტიანიული ცხოვრების წესი და მისი დაცვა მარტივია. იმის გამო, რომ საკვები არ არის, ადამიანები არ უნდა დავხოცოთ“, — **განუცხადა „ვერსიას“ ეროვნული ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ევგენი მიქელაძემ.**

„სიბრძნე.გე“-ს ადმინისტრატორი ვალერი თანდილაშვილი კი, ამბობს: „ღვთისმშობელი ცას ეწია სიხარულით, როცა გაიგო, რომ ყრმა ეყოლებოდა. დღევანდელ ქალებს რომ ეს გააგებინო, დეპრესიაში ჩავარდებიან და დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ მოკლან ყრმა. მსოფლიოში, დღეში, 1 500-მდე ქალი იღუპება დაკანონებული აბორტის შედეგად“.

საპირისპიროს ამტკიცებს ორგანიზაცია „ფემინისტის“ წევრი ბაია პატარაია: „აბორტი ქალის უფლებაა. ქალი თვითონ უნდა წყვეტდეს, დაფეხმძიმდეს თუ არა, როდის დაფეხმძიმდეს და რამდენი შვილი ჰყავდეს. ქალის სხეული ეკუთვნის მხოლოდ ქალს. თუ გვინდა, ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ქალებს ხელი უნდა შევუწყოთ — შევუქმნათ სოციალური პირობები. ნურავის დაავიწყდება, რომ საქართველოში 77 000 ბავშვი სიღატაკეში ცხოვრობს. გამოდის: ვიცავთ ემბრიონის უფლებას და არ ვიცავთ ბავშვებისა და ქალების უფლებას?!“

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ წარმომადგენელი ირაკლი ვაჭრაძე: „იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი აკრძალული იყო, შედეგი არ მოუტანია — ადამიანები მაინც იატაკქვეშ იკეთებდნენ აბორტს. ამ შემთხვევაში, ისევ ყველაზე გაჭირვებული ფენა დაზარალდება, ვინაიდან მდიდარი წავა და აბორტს სხვა ქვეყანაში გაიკეთებს. გარდა ამისა, მაგალითად რუმინეთში, ათიათასობით ბავშვი იბადებოდა და დედები სანაგვეზე ყრიდნენ, ამის გამო, რუმინეთის ბავშვთა სახლები გაივსო. დაუგეგმავი ორსულობით გაჩენილი ბავშვები განწირულნი არიან სიღარიბისთვის, ამიტომ აბორტის აკრძალვა გაუმართლებელია“.

აქციის დასასრულს, ფემინისტ ქალბატონებსა და ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა — აქციის მონაწილეებმა „ფემინისტებს“ მიაძახეს, თქვენ ისინი არ ხართ, ქალებს რომ ტუჩებში კოცნითო?!

— შენ, ბიჭო, წესიერად. ქალსაც ვაკოცებ, კაცსაც, კეთროვანსაც, შიდსიანსაც... ყველას ვაკოცებ, ვისაც მომინდება.

— ადამიანის სახე დაგიკარგავთ და მკვლელობას მხარს უჭერთ?!

შეხლა-შემოხლა ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა — პატრულმა სიტუაცია განმუხტა.

გლდანში მცხოვრებმა დევნილებმა აქცია გამართეს

გლდანის პირველ მიკრორაიონში მცხოვრებმა დევნილებმა, კომუნალური პრობლემების მოსაგვარებლად, აქცია გამართეს. მათი განცხადებით, მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება, არ აქვთ სასმელი წყალი, შენობა არ არის გაზიფიცირებული და არც ინდივიდუალური მრიცხველები აქვს ბინებს.

დევნილებმა რამდენჯერმე მიმართეს შესაბამის უწყებებს, მაგრამ მათი მხრიდან ამ საკითხს გამოხმაურება არ მოჰყოლია.

აქციის მონაწილეებთან დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების ხელმძღვანელი მივიდა, რომელმაც შესაბამის უწყებებს დევნილთა პრობლემების მოწესრიგება მოსთხოვა.

„პირველი“

თამარ კორძაია აცხადებს, რომ ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის არასოდეს უბრძოლია

ნაძალადევის რაიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის თამარ კორძაიას განცხადებით, გმობს ყველანაირ დისკრიმინაციას, თუმცა ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის არასოდეს უბრძოლია.

„როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, სრულად ვაცნობიერებ ჩემს თმენის ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ამიტომაც თავს მოვალედ მივიჩნევ, დავგმო ჩემს წინააღმდეგ ბოლო დღეებში აგორებული კამპანია და ზოგიერთი რამ განვმარტო კიდეც. ქართველმა ამომრჩეველმა უკვე დაამტკიცა, რომ გმობს ძალადობრივ პოლიტიკას და არავის აპატიებს ადამიანის ღირსების შელახვას. მეამაყება, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა მთლიანად მივუძღვენი ადამიანის ღირსების დაცვას და კენჭს ვიყრი იმ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, რომლისათვისაც მთავარი ღირებულება და პრიორიტეტი ადამიანის ღირსებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. მე ყოველთვის ვგმობდი ძალადობას, რომელიც ნებისმიერი ამ ნიშნის მიხედვით ადამიანების დისკრიმინაციის თანმდევი მოვლენაა, თუმცა არასოდეს მიბრძოლია ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის, როგორც ამას ოპონენტები ამტკიცებენ. სამწუხაროდ, ეს თემა პოლიტიკური მანიპულაციისა და ე.წ. შავი პიარის იარაღადაა გამოყენებული. ჩემი ოპონენტებისგან განსხვავებით, დარწმუნებული ვარ, ნაძალადევის რაიონის ამომრჩეველი ამ ანკეტას არ წამოეგება. როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე და დედა, ყოველთვის ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ადამიანთა თანასწორობა და ღირსება აღარ იყოს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი, არამედ გახდეს რეალურად დაცული ინტერესი“, — აცხადებს კორძაია.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ახალი შრომის კოდექსით, ქვეყანაში უმუშევრობა გაიზრდება?!

საპარლამენტო კომიტეტებს შრომის კოდექსის განხილვა ჯერ არ დაუსრულებიათ. ცვლილებების პროექტის ავტორი საქართველოს იუსტიციის სამინისტროა, ინიციატორი კი — მთავრობა. კონკრეტულად, რა ცვლილებები შედის შრომის კანონპროექტში, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობა არ ეთანხმება და რატომ არსებობს საშიშროება, რომ ინვესტორებმა დაქირავებულები გაათავისუფლონ?

ცვლილებების პროექტის მიხედვით, კოდექსში მითითებულია სამუშაო დღის, ასევე, შვებულების ხანგრძლივობის კონკრეტული ვადა და ყველა ის მექანიზმიცაა განსაზღვრული, რომელიც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას არეგულირებს. ცვლილებები დამქირავებელს საშუალებას აღარ აძლევს, დაქირავებული სამსახურიდან კონკრეტული მოტივაციის გარეშე დაითხოვოს. კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ მისი მიღების მიზანი, დასაქმებულის უფლებებისა და ინტერესები დაცვის მიზნით, სამართლებრივი გარანტიების შემოღება, დამსაქმებელსა და დასაქმებულის ინტერესების დაბალანსება, კანონის ერთგვაროვნად ჩამოყალიბება და შრომით კანონმდებლობაში, ასევე სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების ასახვაა.

ცვლილებებით, დასაქმებული დაცულია დისკრიმინაციისგან, დამსაქმებელისა და დასაქმებულისთვის კი ურთიერთხელსაყრელი, სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფა გარანტირებულია. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ეს სასიკეთოდ იმოქმედებს როგორც მათ ინტერესებზე, ასევე — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზეც:

რამდენი პროცენტის გადახდა მოუწევთ ხელფასის დაგვიანების გამო და რატომ აღარ აიყვანენ დამსაქმებლები სტაჟიორებს

„მოქმედი კოდექსი შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას კრძალავს. ცვლილებებით კი, დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებშიც იკრძალება. კანონის მიხედვით, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო“, — აღნიშნულია ცვლილებების კანონპროექტში.

ცვლილებების თანახმად, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების განმარტების სახით, ნოვაციაც შემოდის. კერძოდ, დგინდება, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ისეთ არსებით პირობებს, როგორებიცაა: მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე. ასევე, შრომის ანაზღაურების ოდენობა, მისი გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და შვებულებაში გასვლის წესი:

„რაც მთავარია, „შრომის კოდექსს“ ემატება ნორმა, რომლის თანახმადაც, გამოსაცდელი ვადით მუშაობა აუცილებლად ანაზღაურებადი უნდა იყოს. კანონის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია, მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არა უმეტეს 6 თვისა. გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია, ანაზღაურების ოდენობა და წესი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება“.

რაც შეეხება სამუშაო დროის ხანგრძლივობასა და ზეგანაკვეთურ სამუშაოს, მოქმედი წესით, დამსაქმებლის მიერ სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 41 საათზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთან, კანონი ითვალისწინებდა დათქმას იმის შესახებ, რომ შრომითი ხელშეკრულებით, შესაძლებელი იქნებოდა სხვა ხანგრძლივობის დადგენაც, რაც „41-საათიანი სამუშაო კვირის“ ვალდებულებას უგულებელყოფდა. ეს საკითხი ცვლილებებით დარეგულირდება და იმპერატიულად განისაზღვრება რეგულარული სამუშაო დრო, რომელიც კვირაში 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისად, განსხვავებული, უფრო ხანგრძლივი სამუშაო კვირის დადგენის შესაძლებლობა გაუქმდა და, ნებისმიერ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებული იქნება, ეს შეზღუდვა გაითვალისწინოს:

„რაც შეეხება ზეგანაკვეთურ სამუშაოს, ცვლილებებით, ამ საკითხს ევროპის სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს და განსაზღვრავს, რომ ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა კვირაში 40 საათს აღემატება. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, ხოლო ამ ოდენობის დადგენას კანონპროექტი უკვე მხარეებს ანდობს“.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ როცა დასაქმებული დამსაქმებლისგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებას მიიღებს, 7 კალენდარული დღის ვადაში, უფლება აქვს, დამსაქმებელს წერილობით მიმართოს და სთხოვოს, სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი დაასაბუთოს. დამსაქმებელი ვალდებულია, 7 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით დაასაბუთოს ხელშეკრულების შეწყვეტის აუცილებლობა. გარდა ამისა, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში, სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

„აღსანიშნავია ისიც, რომ „შრომის კოდექსში“ განსაზღვრულია 20 უქმე დღე, მათ შორის, 1 და 2 იანვარი — ახალი წლის სადღესასწაულო დღეები; 7 იანვარი — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 19 იანვარი — ნათლისღება; 3 მარტი — დედის დღე; 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე; 9 აპრილი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე; სააღდგომო დღეები — დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე, მიცვალებულთა მოხსენიების დღე, აღდგომის მეორე დღე, ანუ ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამაარსებლის, წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; 28 აგვისტო — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); 14 ოქტომბერი — მცხეთობის, სვეტიცხოვლობისა და კვართის დღესასწაულის დღე; 23 ნოემბერი — გიორგობის დღე. დასაქმებული უფლებამოსილია, კანონით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად, სხვა დასვენების დღეები მოითხოვოს, რაც შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. კანონით გათვალისწინებულ უქმე დღეებში შესრულებული სამუშაო ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება“.

კანონი შვებულების ხანგრძლივობასაც არეგულირებს, რომლითაც დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, წელინადში არანაკლებ 24 სამუშაო დღით. დასაქმებულს უფლებაც აქვს, ანაზღაურების გარეშე შვებულებითაც ისარგებლოს, რაც წელინადში არანაკლებ 15 კალენდარულ დღეს უნდა შეადგენდეს. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების ფორმასა და ოდენობას, ეს შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. კანონის მიხედვით, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების ან ანგარიშსწორების დაყოვნებისას, დასაქმებულს ყოველ დღეზე, დაყოვნებული თანხის 0,07% გადაუხადოს.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ახალი „შრომის კოდექსით“, ქვეყანაში დასაქმების მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დამძიმდება. ნაციონალური მოძრაობის წევრები შიშობენ, რომ უმუშევრობა გაიზრდება, რადგან ინვესტორები დასაქმებულებს გაათავისუფლებენ. ამ პოზიციას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც იზიარებს. მაგალითად, გაუგებარია, როგორ და რა ფორმით უნდა განსაზღვროს დამსაქმებელმა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას ანაზღაურების ოდენობა. კანონში მითითებულია, რომ ეს ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა უნდა იყოს, მაგრამ დაკონკრეტებული არ არის, რა ითვლება ხელფასის საათობრივი ოდენობის ზედა, ან ქვედა ზღვრად. სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება დამსაქმებლის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

მართალია, „შრომის კოდექსში“ გამოსაცდელი ვადა მკაცრადაა განსაზღვრული, რაც 6 თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ კანონი დამსაქმებელს ავალდებულებს, რომ გამოსაცდელი ვადაც აანაზღაუროს. ამ ცვლილების გამო, დამსაქმებელი შეეცდება, სამსახურში სტაჟიორი აღარ მიიღოს და, სამწუხაროდ, კურსდამთავრებული ან თუნდაც სპეციალისტი, რომელსაც გამოცდილება არ აქვს, სათანადო კვალიფიკაციას ვერ მიიღებს. აქედან გამომდინარე, კანონპროექტის ავტორებსა და ინიციატორებს ან თუნდაც, რიგით დეპუტატებს, ამ საკითხებზე სერიოზულად მოუწევთ დაფიქრება და ვინაიდან კანონის მიღებამდე დრო ჯერ არის (წინაა პირველი, მეორე და მესამე მოსმენა პარლამენტის პლენარულ სხდომებზე), ცვლილებების პროექტში კიდევ უფრო მეტი სიზუსტის შეტანაც!

ვერსიანიუსი

ქრთამის აღების ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს ორ რეგიონში, სამეგრელოსა და კახეთში რამდენიმე პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, სამეგრელოში დაკავებულია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანების დირექტორი გოგი ახალაია, რომელსაც ბრალი 338-ე მუხლის პირველი ნაწილით აქვს წაყენებული. გამოძიებით დადგინდა, რომ ახალაიამ ერთ-ერთ ინდმეწარმეს, რომელიც გარკვეულ სამუშაოებს ასრულებდა კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანებისთვის, სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 500 ლარი გამოართვა. გოგი ახალაია სამართალდამცველებმა 4 აპრილს დააკავეს. რაც შეეხება კახეთის რეგიონს, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ზვიადაური. გამოძიების ინფორმაციით, მან უკანონო მშენებლობის მფარველობის მიზნით, ქრთამის სახით, 500 აშშ დოლარი აიღო.

საგამოძიებო სამსახურმა, ასევე დააკავა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყისა და ველური ბუნების მართვის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მალხაზ ფიცხელაური. მან აკრძალული ხე-ტყის სამასალე მორების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, აიღო 400 ლარი.

აღნიშნულ საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

„მედიანიუსი“

იულია ტიმოშენკოს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს რადის დეპუტატისა და ბიზნესმენის, ევგენი შერბანის მკვლელობის ორგანიზებაში ბრალი წაუყენა. აღნიშნული დანაშაული 1996 წელს მოხდა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოზე ტიმოშენკოს ბრალი დადასტურდება, მას სამუდამო პატიმრობა ელის.

პატიმრობაში მყოფი იულია ტიმოშენკო შერბანის საქმეზე სასამართლოში დაკითხვაზე გამოცხადებაზე უარს ამბობს.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ცნობილი ქართველი გამომგონებელი დავით ჩაჩანიძე ივანიშვილის გუნდს სენსაციურ პროექტს სთავაზობს

დავით დევიძე

დაახლოებით, ერთი წლის წინ, „ვერსიასთან“ ინტერვიუში ცნობილმა ქართველმა გამომგონებელმა, დავით ჩაჩანიძემ შიდაწვის ძრავაში ახალი ტიპის ენერგო-მატარებლის გამოყენებაზე სენსაციური განცხადება გააკეთა, რაც ბენზინზე მომუშავე ავტომობილების ეკოლოგიურად სუფთა ელექტრომობილებით ჩანაცვლებას გულისხმობს. მართალია, საავტომობილო პარკის ელექტრომობილებზე გადაწყობა მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს, მაგრამ ქართული „ნოუ ჰაუ“ სკანდალური იმიტომაა, რომ ელექტრომობილი დატუმბვას არ საჭიროებს და მას ენერგიით, როგორც მეცნიერი ამბობს, სპეციალური ჩიპი უზრუნველყოფს. ამ რევოლუციურმა სიახლემ საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია... რა ბედი ეწია დავით ჩაჩანიძის გამოგონებას? — ამის გასარკვევად, „ვერსია“ გამომგონებელს ხელმეორედ ესტუმრა და გაარკვია, რომ ბატონი დავითი არანაკლებ ეფექტურ პროექტზე მუშაობს.

— ბატონო დავით, ელექტროჩიპებით მოძრავ ავტომობილებთან დაკავშირებულ თქვენს იდეას რა ბედი ეწია?

— სამუშაოები რამდენიმე, პირველ რიგში კი, ფინანსური და მატერიალური პრობლემის გამო შეფერხდა. მუშაობა, პრაქტიკულად, სრულიად მარტო, ყოველგვარი დახმარების გარეშე მიწევს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროექტი გაჩერებულია, უბრალოდ, ამ მიზეზების გამო, პროცესი ნელა მიდის და ახალი თაობის ქართული ელმანქანა დღის სინათლეს მალე ნახავს.

— ერთი წლის წინ, როცა პირველი ინტერვიუ ჩავწერეთ, მითხარით, რომ თქვენს გამოგონებას თბილისის მერიას სთავაზობდით. რა პასუხი მიიღეთ?

— პასუხი არ მიმიღია. საერთოდ, მერიას რამდენიმე პროექტი შევთავაზე, მათ შორის, მტკვრის კალაპოტის რეაბილიტაციისაც, მაგრამ ყველაფერს დუმილით შეხვდა. ნაცხელისუფლება, რომელიც დღეს დედაქალაქის მერიაშია მოკალათებული, არც დაინტერესდა, რამდენად მომგებიან წინადადებებს ვთავაზობდი. ამ უწყებაში სიახლეებზე არავინ ფიქრობს. არადა, ამით მხოლოდ ეკოლოგიური მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდება, არამედ, ტრანსპორტის ხარჯებიც მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც მოსახლეობას შეღავათს მისცემს, მაგრამ ასეთი სტრატეგიული მიზნები თბილისის ხელმძღვანელობისთვის უცხოა. სხვათა შორის, წერილობით მიხეილ სააკაშვილსაც მივმართე და ჩემი პროექტები გავაცანი, მაგრამ არც ამას მოჰყოლია გამოხმაურება. ამჯერად კი, ახალ ხელისუფლებას ვთავაზობ დასრულებულ პროექტს იმ იმედით, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, ინტერესით მიუდგება, მით უმეტეს, რომ ეს არაა გამოგონება გამოგონებისთვის.

— ბატონო დავით, უფრო კონკრეტულად ჩამომიყალიბეთ, რა გამოგონებაზე საუბრობთ?

— ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებთ, ერთს ვიტყვი: მე, როგორც მეცნიერი, პოლიტიკით ნაკლებად ვინტერესდები და პოლიტიკასთან ჩემი, ასე ვთქვათ, შეხება მაშინ მოხდა, როცა წინა ხელისუფლებას მომგებიანი პროექტი შევთავაზე, მან კი ყურიც არ შეიბერტყა. ახალი ხელისუფლება წინასანტიპოდია — ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრის გუნდი ქვეყნის სიდუხჭირიდან გამოყვანასა და სამართლიანობის აღდგენას გულწრფელად ცდილობს. ახალ ხელისუფლებას არაფერს ვთხოვ და სხვებივით არ ვაწუხებ, მიშველე-მეთქი. პირიქით, დახმარებას ვთავაზობ!

რაც შეეხება ახალ გამოგონებას, დადასტურებულია, რომ თბილისის დაბინძურებული ჰაერი, რაც პირველ რიგში, ტრანსპორტის გამონაბოლქვის შედეგია, ათასგვარ ავადმყოფობას იწვევს... დღეს ბენზინისძრავიანი მანქანების გაზზე გადაყვანა მოდურია. მოგეხსენებათ, ბუნებრივი აირი ბენზინზე გაცილებით იაფია, მაგრამ დღემდე ვერავინ მოახერხა დიზელისსაწვავიანი ავტომობილის გაზზე გადაყვანა. არადა, გაზზე გადაყვანილი დიზელის ძრავი ბევრად მომგებიანია.

— მომგებიანი, მაინც რამდენადაა?

— თუ ბუნებრივ აირზე გადაყვანილი ორლიტრიანი ბენზინის ძრავით გაზზე გადაყვანილი ავტომობილი 20 კუბით, ვთქვათ, 200 კილომეტრს გაივლის, იგივე ლიტრაჟის ძრავი, ოღონდ დიზელიდან გადაყვანილი, 280 კილომეტრს გაივლის. ეს, თავისთავად, ეკონომიკურ ეფექტურობაზე მეტყველებს. გაზზე მომუშავე მანქანა გარემოს, ბენზინ-დიზელთან შედარებით, ნაკლებად აბინძურებს. მოკლედ, საკმარისია, ე.წ. ყვითელ ავტობუსებსა და სამარშრუტო ტაქსებში ახალი ტექნიკა დავამონტაჟოთ, რომ ერთდროულად, მივიღებთ შედარებით სუფთა ეკოლოგიურ ატმოსფეროს და გადაადგილების უფრო იაფ საშუალებას.

— მართლაც, საინტერესო გამოგონებაა, მით უმეტეს, რომ დიზელის ძრავის გაზზე გადაყვანა აქამდე შეუძლებლად მიაჩნდათ. ტექნიკური გადაიარაღება ძვირი დაჯდება?

— თუ სახელმწიფოს კეთილი ნება იქნება, ეს ტექნიკა უცხოეთიდან შეიძლება, ძალიან იაფად შემოვიტანოთ. ამასთან, საქართველო თითით საჩვენებელი ქვეყანა გახდება, სადაც ახალი ხელისუფლება მეცნიერული გადატრიალებით მოვიდა და ის შეძლო, რაც ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენზე ბევრად განვითარებულმა ქვეყნებმაც ვერ მოახერხეს. არსებობს მცდელობა, ეს პროექტი საქართველოში კი არა, უცხოეთში განხორციელდეს — საზღვარგარეთიდან თანამშრომლობის არაერთი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ მიზანს ჩვენი ქვეყნის ფეხზე დაყენება უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ, განვითარება ტექნიკური პროცესის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ეს პროექტი მხოლოდ საქართველოში უნდა განხორციელდეს. საბოლოო ჯამში, ყველაფერი როგორც ქვეყანას, ასევე მომხმარებელს დიდ ეკონომიკურ შეღავათს მისცემს — გაიაფდება მგზავრობა, რაც ავტომატურად, პროდუქციაზე ფასების დაკლებას გამოიწვევს, გამოსწორდება ეკოსისტემა. პოლიტიკურად თუ მივუდგებით, ახალ ხელისუფლებას დანაპირების ასრულებასაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს. ერთი სიტყვით, პროექტი გამზადებულ-დასრულებულია და მთავარია, ხელისუფლება დაინტერესდეს.

P.S. ბატონმა დავითმა სხვა გამოგონებებზეც მიამბო, რომლებზეც სამომავლოდ გესაუბრებით. ზემოხსენებული სიახლე კი, იმის დასტურია, რომ ქართველმა მეცნიერმა ის შეძლო, რაც წამყვანი ქვეყნის მეცნიერებმა ვერ მოახერხეს. შესაბამისად, ეს გამოგონება მხოლოდ ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ შეღავათს კი არა, იმას ნიშნავს, რომ საქართველომ „მაჩანჩალა ქვეყნის“ სტატუსს თავი დააღწიოს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება მეცნიერს მხარს დაუჭერს თუ არა. ისე, ნებისმიერი ქვეყნის აღმავლობა სწორედ ასეთ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.

ფინანსთა მინისტრი სამხრეთკორეელ ინვესტორებს შეხვდა

შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა სტუმრებს გააცნო ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, ის ნაბიჯები, რომელსაც მთავრობა დგამს ინვესტორების საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისებისთვის.

„მნიშვნელოვანია, რომ მათ აქვთ კონკრეტული იდეები და იმედი, რომ ისინი შეძლებენ სერიოზული ბიზნესპროექტების განხორციელებას საქართველოში“, — განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა.

დელეგაციაში, რომელიც საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაცნობად მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან მართავს შეხვედრებს, შედიან უმსხვილესი სამხრეთ კორეული კომპანიების წარმომადგენლები ენერგეტიკის, სამშენებლო, წარმოებისა და ფინანსური სექტორებიდან, მათ შორის, არიან ისეთი კომპანიების ხელმძღვანელები როგორებიცაა: Hyndai E&C, KDB, BKB.

„საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა. მოხარულები ვართ, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო ქვეყანაში. ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა ენერგეტიკა, ფინანსური სექტორი და აღნიშნული მიმართულებით შემდგომი ვიზიტის დროს წარმოვადგენთ თანამშრომლობის კონკრეტულ გეგმებს“, — განაცხადა კომპანია KDB-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ბიონგ ჯო ჩანმა.

დელეგაციას საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო მასპინძლობს.

„მედიანიუსი“

აფხაზი სეპარატისტები რეპატრიაციის ერთიანი ე.წ. სახელმწიფო პროგრამის შექმნას აპირებენ

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელიც ე.წ. რეპატრიაციასა და ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ე.წ. რეპატრიაციის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ადლეიბამ შეხვედრაზე სირიაში არსებული სიტუაციის გაუარესებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ე.წ. თანამემამულეების რეპატრიაციის საკითხი ჯერაც აქტუალურია.

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის, ვიჩესლავ ჩირიკბას განცხადებით, 2012 წლის მაისიდან აფხაზეთში სირიიდან 186 ადამიანი ჩავიდა, მათ შორის სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და პენსიონერები. ჩირიკბას ინფორმაციით, ეს ადამიანები უარს აცხადებენ ლტოლვილის სტატუსის აღებაზე. აფხაზური მხარის ინფორმაციით, ამჟამად აფხაზეთში ჩასვლას 200-მდე სირიელი ელის.

ე.წ. რეპატრიაციის ფონდის ხელმძღვანელი ჯონ სმირი, 11 თვის განმავლობაში, სირიიდან ჩამოსული ადამიანების მიღებაზე, ადაპტაციასა და მოწყობაზე გაწეულ ხარჯზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, სულ გახარჯულია 46 მილიონ 464 ათასი რუბლი, საიდანაც ბილეთების შეძენაზე — 336 696 რუსული რუბლი, პანსიონატში ცხოვრებასა და კვებაზე — 11 მილიონ 221 ათასი რუბლი, მათთვის სახლებისა და ბინების ყიდვასა და რემონტზე — 28 მილიონ 464 ათასი რუბლი, ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე 2 მილიონ 342 ათასი რუბლი, შემნეობის გადახდასა და სამოსზე — 3 მილიონ 598 ათასი რუბლი, ხოლო აფხაზური ენის შემსწავლელ კურსებსა და კულტურულ ღონისძიებებზე სატრანსპორტო მომსახურებაში 368 ათასი რუბლია დახარჯული.

გარდა ამისა, აფხაზური მხარის ინფორმაციით, აფხაზეთში თურქეთიდან, ჩრდილოკავკასიიდან და აჭარიდანაც „ბრუნდებიან“ აფხაზური დიასპორას წარმომადგენლები.

„მრგვალი მაგიდის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია რეპატრიაციის ერთიანი პროგრამის შექმნა“, — იუწყება აფხაზური მხარე.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გულმოკლული ჩიორა და ოკუპაციის კანონში შესაჭანი ცვლილებები

მერაბ ბერიძე

საპარლამენტო უმრავლესობა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის შერბილების ინიციატივით გამოდის. უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი ამ ინიციატივას სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა:

„პირველი მოსმენით, გაბედეს და, გამოიტანენ პარლამენტში განსახილველად „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს ექნება 2 ტიპის საზღვარი, ერთი, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთს შორის საზღვარი, რომლის დარღვევა უცხო ქვეყნის მოქალაქეს დაუჯდება 400 ლარი და მეორე, საქართველოს დანარჩენ რეგიონებსა და რუსეთს შორის საზღვარი, რომლის დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება. ეს ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილი, ზაქარეიშვილი, ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები ბედავენ, რომ ქართველი ხალხი არჩევნების შემდგომი ეიფორიის ფონზე შეიტყუონ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარების შეუქცევად პროცესში. ამ ხალხისგან ეს გასაკვირი არ არის! ეს ხელისუფლება რუსეთიდან სწორედ იმიტომ გამოგვიგზავნეს, რომ ეს მთავარი დავალება შეასრულონ: გაანადგურონ ახალშექმნილი ქართული ჯარი; ძირი გამოუთხარონ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ფუნდამენტს; უარი თქვან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიებად მოხსენებაზე; გააუქმონ ჟენევის ფორმატი, ერთადერთი წარმატებული ფორმატი საქართველოს ისტორიაში, სადაც საქართველო-რუსეთი, როგორც სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან სხედან საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით; საერთაშორისო საზოგადოებას, როგორც საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია, წარუდგინონ ის, რომ საქართველომ დაიწყო ომი, რომ რუსეთის ჯარი ლეგიტიმურად არის აფხაზეთში, რომ ნამდვილად, ქართველებმა მოუწყვეს გენოციდი აფხაზებს და მძინარე ცხინვალში მყოფ ოსებს; საბოლოო ჯამში, თუ ამის უფლებას მისცემს ქართველი ხალხი, ხელი მოაწერონ საქართველოს ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებას, — აი, ამას ნიშნავს პარლამენტის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების კანონში პირველი და შეუქცევადი ცვლილებების შეტანა, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და რუსეთს, ცხინვალის რეგიონსა და რუსეთს შორის აღარ იარსებებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი! ეს არ იქნება მხოლოდ ამ მთავრობის პასუხისმგებლობა, ამ გადაწყვეტილების შედეგებს ჩვენი მომავალი თაობები ზღავენ.

გული მიკვდება, რა ხელში ჩავარდა ჩვენი ქვეყანა!“

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, „ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, თუ ვინმეს საქართველოში ხმა არ აქვს ამოსაღები, ეს ნაციონალური მოძრაობაა, სწორედ მათ ჩააბარეს რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20%“. **სწორედ ამიტომ, ზაქარეიშვილისთვის ნაცმოძრაობის წევრების მხრიდან ყოველგვარი კრიტიკა მიუღებელია.**

„ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია წინასწარი განზრახვა, დაარღვიოს სახელმწიფო საზღვარი და უნებლიედ არღვევს საზღვარს, ის ციხეში არ უნდა ხვდებოდეს, ამიტომ ვთავაზობთ პარლამენტსა და საზოგადოებას, რომ საზღვრის

„ნაციონალებს, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, ხმა არ აქვთ ამოსაღები!“

დარღვევის ასეთ შემთხვევაში, პირველ ჯერზე, იყოს მხოლოდ ჯარიმა, თუ ადამიანმა იცის, რომ არღვევს კანონს და მეორედ შემოდის, ასეთ შემთხვევაში, უკვე შეიძლება, სისხლის სამართლის დევნის დაწყება“, — **აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე კი ამბობს, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შერბილება არც პრინციპული საკითხია, არც — დახევა და არც — კანონის გაუქმება“:

„კანონი ოკუპირებული მიწების შესახებ, ელემენტარულად, ცოტა ლიბერალური ხდება ანუ პირველი დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია გაფრთხილება და ჯარიმა. ზოგადად, სანქციების შერბილება კარგი ტენდენციაა. იქნებ, მთავრობამ ჯარიმები საგზაო დარღვევებზეც შეგვიმციროს — პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ამხელა ჯარიმები, რომელიც საკაშვილის მთავრობამ შემოიღო, არსად მოქმედებს... მოკლედ, სასაზღვრო დამრღვევებისთვის სანქციების შემცირებაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. მთავარია, ოკუპირებული ტერიტორიების კანონი არ გაუქმდეს ან სახელი არ შეეცვალოს. თუ ეს გაკეთდა — სიტყვა „ოკუპირებული“ წაიშალა და გაქრა, ამას შეიძლება, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს.

რაც შეეხება მეორე მხრიდან თბილისის ამ ნაბიჯის შეფასებას, იმის იმედი, რომ კანონის შერბილებას დაგვიფასებენ და შეგვირიგდებიან, ზღაპარია და მეტი არაფერი. არავინ არაფერს მოგვიწონებს. უბრალოდ, ქართულმა მხარემ ეს შეიძლება, რომელიმე შეხვედრაზე გამოიყენოს და შერიგებისკენ გადადგმულ კეთილ ნაბიჯად განიხილოს, თუმცა ყველას მშვენივრად ეცოდინება, რომ ამით, პრაქტიკულად, არაფერი შეიცვლება.

დღეს ერთადერთი, რაც აწყობთ და რაზეც აფხაზებიც და ოსებიც მადლობას გვეტყვიან, მათი აღიარებაა, თუმცა არ მგონია, დიდი მადლობა ამ კუთხით მაინც გადაგვიხადონ — ალბათ, იტყვიან, სხვა რა გზა ჰქონდათ, არსებულ რეალობას თვალი გაუსწორესო“.

The Economist: „საქართველოს ჯერაც მყიფე დემოკრატია“

The Economist

ბრიტანული გამოცემა The Economist საქართველოზე სტატიას — „საქართველოს ჯერაც მყიფე დემოკრატია“ — აქვეყნებს. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ოქტომბერში საქართველოში პირველად, ძალაუფლების კონსტიტუციური გადაცემით, ქართულმა დემოკრატიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ხელისუფლებაში მოსვლიდან ექვსი თვის შემდეგ, ახალი მთავრობის შეფასებისას, ორი კითხვა ჩნდება: აღადგინა თუ არა მან დემოკრატია და კანონის უზენაესობა, თუ უარს აცხადებს დემოკრატიულ ვალდებულებებზე?

გასულმა თვემ ოპტიმიზმთან ფრთხილად მოკიდების ორი მიზეზი გამოავლინა, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, — პირველი, ბიძინა ივანიშვილისთვის ევროპარლამენტის ევროპის სახალხო პარტიის 23 წევრის მიერ გამოგზავნილი წერილია. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ, რომლის ნაციონალური მოძრაობა ევროპის სახალხო პარტიის დამკვირვებელი წევრია, წაქეზებული ევროპარლამენტარები წერილში აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება „პარლამენტისა და თვითმმართველობის წევრებზე ზეწოლას“ ახორციელებენ ისევე, როგორც „სასამართლო სისტემასა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ და აფრთხილებდნენ მას, „არ დამარხოს საქართველოს ევროპული მომავალი“.

როგორც ბრიტანული გამოცემის სტატიაშია აღნიშნული, წერილი არცთუ სახარბიელო შინაარსისა იყო. მიუხედავად, ევროპარლამენტარების მხრიდან ახალი ხელისუფლების კრიტიკისა, საქართველოს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია კიდევ შორს წავიდა, ვიდრე ევროპარლამენტარები. გარდა იმისა, რომ ახალი არაფერი თქმულა, წერილში აღნიშნული დაუსაბუთებელი ბრალდებებით გაგრძელდა ტალახის სროლა, რომელიც ბოლო თვრამეტი თვის განმავლობაში გრძელდება საქართველოს პოლარიზებულ პოლიტიკაში.

თუმცა, როგორც სტატიაშია ნათქვამი, უფრო საინტერესო იყო ევროპარლამენტარებისთვის გაგზავნილი ივანიშვილის საპასუხო წერილი. სტატიის ავტორი წერს, რომ ივანიშვილმა წერილს „სამარცხვინო“ უწოდა და ავტორები „სააკაშვილის ტყუილებით ცხოვრებაში“ დაადანაშაულა.

შესაძლოა, პრემიერზე ცოტა ხნის წინ დაქირავებულმა ლობისტებმა მოახდინეს გავლენა, — ნათქვამია სტატიაში, — თუმცა, წერილმა თავისი საქმე გააკეთა. ევროპის სახალხო პარტიისთვის გაგზავნილ ღია წერილში ივანიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს ხელისუფლება იზიარებს ევროპული დემოკრატიის ფასეულობებს. განსხვავებით იმისგან, რომ ნაციონალური მოძრაობა შორს იყო დემოკრატიული მიღწევებისგან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირწმუნებოდა, რომ მისი მთავრობა ცდილობს, ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი პრობლემების გამოსწორებას.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, წერილში გაკეთებულ განცხადებებზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, თუ რა ფორმით ითქვა ყველაფერი. საკუთარი პრეტენზიების მხარდამჭერებად საზოგადოების ერთი ნაწილის გამორჩევით და უცხოელი კრიტიკოსების მეტი ყურადღების მიპყრობით, ივანიშვილმა დებატებში მეტი ობიექტურობა შეიტანა, რის ნაკლებობასაც ქართული პოლიტიკა განიცდის. საქმე მხოლოდ სიტყვებში არ არის: მთავრობის მიწვევით, ევროკავშირმა სპეციალური დესპანი დანიშნა, რომელიც საქართველოს კონსულტაციებს გაუწევს სასამართლო სისტემის რეფორმაში.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, შვეიცარიის ელჩმა ივანიშვილის საპასუხო წერილს „შესანიშნავი პასუხი“ უწოდა, რომელიც „ზუსტად გამოხატავს ქართველი ხალხის წყენას“. **„საქართველო ახლა იმაზე მეტად თავისუფალია, ვიდრე ოდესმე იყო და ვიდრე მისი მეზობლები არიან“,** — ციტირებს სტატიის ავტორი შვეიცარიის ელჩის წერილიდან ამონარიდს და აღნიშნავს, რომ ელჩის ეს განცხადება გამოწვეული იყო ივანიშვილის საზოგადოებასთან დიალოგის სურვილით.

თუმცა, ნამდვილი დემოკრატიული პროგრესი მხოლოდ ლიდერის პირად სურვილზე არ არის დამოკიდებული. ოპტიმიზმის გამომწვევი კიდევ ერთი ფაქტორი პარლამენტის მუშაობაა, — წერს სტატიის ავტორი, — 25 მარტს პარლამენტმა ერთობლივად მიიღო კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ კანონი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს მოეხსნა უფლებამოსილება, პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს ახალი მთავრობა. ამას წინ უძღვოდა ორმხრივი თანხმობით მიღებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის რეზოლუცია.

სააკაშვილი და ივანიშვილი, ბოლო 18 თვის განმავლობაში, დომინირებენ ქართულ პოლიტიკაში, — ნათქვამია სტატიაში, — თუმცა მათი საჯარო პოზა, შესაძლოა, პარლამენტის პროგრესის შემაფერხებელი გამოდგეს. საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა დეპუტატმა, აკაკი ბობოხიძემ საჯაროდ გააკრიტიკა პრეზიდენტიცა და პრემიერიც. ეს შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს, რადგან მანამდე, ნაციონალური მოძრაობის არც ერთ დეპუტატს არ გაუკრიტიკებია სააკაშვილი საჯაროდ, — ნათქვამია ბრიტანული გამოცემის სტატიაში.

თავისი როლის სრულყოფილად შესრულებისთვის, პარლამენტს უკეთესი კადრები სჭირდება, — აღნიშნავს ავტორი. რამდენიმე ხნის წინ, ივანიშვილმა თავისი ქართული ოცნების ზოგიერთი დეპუტატი გააკრიტიკა და განაცხადა, რომ სამი კაციც კი არ მოიძებნება, რომელიც დავით უსუფაშვილს დაეხმარებაო.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში თვალშისაცემია პარლამენტის მზაობა კონსენსუსზე წასვლისა, ნამდვილი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რაშიც ორივე პარტია ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სასამართლო სისტემის, ნაფიცი მსაჯულებისა და თვითმმართველობის დაგეგმილი რეფორმები ერთობ საკამათოა. თითოეულ სექტორში განხორციელებულმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გააღრმავოს ქართული დემოკრატია, თუმცა შესაძლოა, ერთპარტიული მმართველობა კიდევ უფრო გაამყაროს. როგორც ყოველთვის, ეშმაკის თავი დეტალებშია დამარხული, — ნათქვამია სტატიაში.

ამასობაში, თბილისის საკრებულოში ძალაუფლებისთვის ბრძოლამ, ხელახლა წარმოშვა ბრალდებები მთავრობის ზეწოლაზე. 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობა თბილისში მასშტაბურ აქციას გეგმავს და ადგილობრივებს „ბევრ სიურპრიზსა და ახალ ამბავს“ ჰპირდება. წლის ბოლოსთვის კი ცხადი გახდება, საქართველოში დემოკრატია მართლა პროგრესირდება თუ არა, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

„ინტერპრესნიუსი“

ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციენტის შვილი ექიმების დასჯას ითხოვს

რა გახდა 36 წლის ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი და რატომ სთხოვენ ქუთაისის საავადმყოფოში ავადმყოფის მნახველს 50 ლარს

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

4 აპრილს, ღამე, ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში ლია ქველაძე გარდაიცვალა. მართალია, გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჭირისუფლები ეჭვობენ, რომ 36 წლის ქალბატონი ექიმის დაუდევრობას ემსხვერპლა — პაციენტს 10 მარტს ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გაუკეთდა და, როგორც დაღუპულის ოჯახის წევრები აცხადებენ, ქირურგს ნაღვლის ბუშტის სადინარი ღია დარჩა, რის გამოც ნაღველი ორგანიზმში იღვრებოდა.

ეკატერინე არევაძე, გარდაცვლილის მეგობარი: „ოპერაციიდან ორი დღის შემდეგ, მცირე მენჯიდან სამი ლიტრი სითხე ამოულეს. ეჭვი გვაქვს, რომ ქირურგს ნაღვლის ბუშტის ერთ-ერთი სადინარი ღია დარჩა, რის შედეგადაც ნაღველი, 12 დღის განმავლობაში, მუცლის ღრუში იღვრებოდა. ნაღვლის ბუშტი ანომალიური იყო და მესამე სადინარი ექიმმა ვერ შეამჩნია, რაც აღიარა კიდეც. თორმეტი დღის შემდეგ, მეორე ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა — სითხე ფილტვშიც ჩაუდგა და ხუთი დღე რეანიმაციაში იწვა. მერე, კიდევ ორი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ უშედეგოდ — ლიას მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ექიმ რეზო ყურაშვილის გარდა, პასუხისმგებლობას მთავარ ექიმ ერემაიშვილსა და საავადმყოფოს დირექტორ ჯანო ვაშაძესაც ვაკისრებთ“.

რამდენიმე ოპერაციის შემდეგ, როგორც გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, ლია ქველაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ პერიტონიტი და პანკრიასის მწვავე ანთება განუვითარდა. თირკმლის უკმარისობის გამო კი, რამდენიმე დღის განმავლობაში დიალიზის აპარატზე იყო შეერთებული.

მაკა წაქაძე, გარდაცვლილის მეგობარი: „ნაღვლის ბუშტიდან გამომავალმა სითხემ ორგანიზმი მოწამლა და პერიტონიტი განვითარდა. ეჭვი გვაქვს, რომ პანკრიასის ანთებაც ჰქონდა — ველარ სუნთქავდა, სითხე ფილტვებში ჩაუდგა, თირკმელებიც აღარ მუშაობდა და ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, დიალიზის აპარატზე შესაერთებლად გადაჰყავდათ ხოლმე, სადაც ექიმები ამბობდნენ, კლინიკური საავადმყოფო გარდაცვლილ პაციენტს რატომ გვიგზავნის — ქალი დაღუპულია და დიალიზი რაღას უშველისო. დროს მაქსიმალურად წელავდნენ და ამდენი უშედეგო მკურნალობით ოჯახს 40 ათასი ლარი ვალი დაედო — წამლებში უამრავი ფული გადაახდევინეს და ეს მაშინ, როცა იცოდნენ, რომ ლიას აღარაფერი ეშველებოდა... აშკარაა, რომ პაციენტი ექიმების დაუდევრობას ემსხვერპლა“.

გარდაცვლილის ნათესავები ქირურგ რეზო ყურაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვენ და, ამასთან, ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში არსებულ კორუფციულ გარიგებებზეც საუბრობენ.

მანუჩარ ქველაძე, გარდაცვლილის შვილი: „მოვითხოვთ, ექიმების — რეზო ყურაშვილის, გოჩა ჩარქსელიანის და კიდევ, მთავარი ექიმის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. დედაჩემი სწორედ მათ დაუდევრობას ემსხვერპლა. პირველი ოპერაციის შემდეგ, 25 დღის განმავლობაში, პრაქტიკულად, წამებით მოკლეს. პაციენტთან არ გვიშვებდნენ, გრიპის გამო, კარანტიანია გამოცხადებული და შესვლა აკრძალულიაო, თუმცა 50 ლარის გადახდის შემდეგ, უპრობლემოდ შევდიოდით. მაინტერესებს, ფულის გადახდით კარანტინი იხსნებოდა? უყურადღებოდ გვექცეოდნენ და დედაჩემის სიცოცხლეც სწორედ ამას შეეწირა“.

პაციენტ ლია ქველაძის გარდაცვალებაზე ქირურგმა რეზო ყურაშვილმა, რომელსაც „ვერსია“ ტელეფონით დაუკავშირდა, მოუცლელობის საბაბით, საუბარი არ ისურვა: „მაპატიეთ, დაკავებული ვარ და მოგვიანებით დამიკავშირდით“.

პაციენტის გარდაცვალების მიზეზზე არც ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მერაბ ერემაიშვილი საუბრობს: „პაციენტი 10 მარტს შემოიყვანეს და ოპერაცია იმ დღესვე გაუკეთდა, ოპერაციის შემდეგაც, ყველა საჭირო სამედიცინო დახმარება გაეწია, მაგრამ მაინც გარდაიცვალა.“

რაც შეეხება პაციენტთან მნახველის თანხის სანაცვლოდ შეშვებას, კლინიკურ საავადმყოფოში განმარტავენ, რომ მნახველი თანხას მხოლოდ მაშინ იხდის, თუკი პაციენტთან ყოფნა 24 საათის განმავლობაში სურს.

პაციენტის გარდაცვალებაზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მომხდარს ქუთაისის საქალაქო სამმართველო 116-ე მუხლის პირველი ნაწილით იძიებს.

ღია წერილი ქალბატონ ლუბა ელიაშვილს

რატომ თქვა უარი „მეცხრე არხის“ გენერალურმა დირექტორმა გადაცემა „ენერგიის“ აღდგენაზე

პირველ რიგში, გილოცავთ, რომ ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, სხვებთან ერთად, მოგენიჭათ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. ამ საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა, აგრეთვე, 1992 წლის ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ჟურნალისტად დასახელებული, პირველი არხის საავტორო პროგრამა „ენერგიის“ ყოფილი წამყვანი მერაბ ბერაძე, რომლის შემოქმედების შესახებ ბარე 50-ზე მეტი რეცენზიაა გამოქვეყნებული, სადაც ავტორები — გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, პროფესიონალი ჟურნალისტები და ეკონომისტები ერთხმად აღნიშნავენ ტელეკომენტატორის დიდ დამსახურებას ერის წინაშე და წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მისი პროგრამა „ვარდების რევოლუციის მშობიარობას“ გადააყოლეს.

საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ამ ჟურნალისტის უშუალო მეცადინეობით, აყრას გადაურჩა მრავალი მაღალმთიანი სოფელი. ამუშავდა, დაახლოებით, 500 მიკროელექტროსადგური, 650 ბიოდანადგარი, ამდენივე მზით წყლის გამაცხელებელი და მზისგან ელექტროენერგიის მიმღები სისტემა და მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა. დაინერგა ბევრი სამეცნიერო წინადადება და უმნიშვნელოვანესი გამოგონებები, ხოლო 20 ეკლესია-მონასტერში, სადაც ელექტროენერგია ვერ აღწევს, სწორედ მისი შემწეობით, მზის სხივებისგან ინთება ნათურა და ამ შუქზე ტარდება წირვა-ლოცვა, რაც ჭეშმარიტად ღვთის სამსახურია.

იმ სასიკეთო საქმეების ჩამოთვლას, რაც ჟურნალისტს ქვეყნისთვის გაუკეთებია, ერთი სტატია კი არა, ალბათ, რამდენიმე გაზეთიც არ ეყოფა, თუმცა ესეც საკმარისია იმისთვის, თუ რატომ იყო ეს პროგრამა ესოდენ პოპულარული ხალხში. ქალბატონო ლუბა! თქვენ, როგორც პროფესიონალმა ჟურნალისტმა კარგად იცით, თუ რა ძალა აქვს ცისფერ ეკრანს და ამიტომ, გულწრფელად გვეგონა, რომ იმ ტელევიზიებს შორის, რომლებიც ამ გადაცემით უნდა დაინტერესებულიყვნენ, „მეცხრე არხი“ პირველი უნდა ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენს წელში გადატეხილ ქვეყანას მილიონობით დოლარის ღირებულების მანქანა-ტრაქტორები და კომბაინები გამოუგზავნა საჩუქრად, მერაბ ბერაძე იყო პირველი, ვინც ამ თემაზე მოამზადა ვრცელი რეპორტაჟი, რომელიც აქტუალობის გამო, სამჯერ გაიმეორა საქართველოს ტელევიზიამ. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს სატელევიზიო ქსელში არ არსებობს მსგავსი პროგრამა, რომელიც მხოლოდ მეცნიერების, გამოგონებებისა და მზის ენერგიის გამოყენებაზე მუშაობს და რომელსაც უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში. სამწუხაროდ, ტელეკომპანიების უდიდესი ნაწილი თოქ-შოუებით, გასართობი პროგრამებითა და სერიალებით აშტერებს საკუთარ მოსახლეობას.

და როცა ქვეყანაში ამდენი მოუშუშებელი ჭრილობაა და, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მცირეწლოვანი ბავშვები იღუპებიან შიმშილით, ტელეკომენტატორის რეპორტაჟები, შეიძლება ითქვას, წამალივით მოუხდებოდა საზოგადოებას.

რამდენადაც ცნობილია, არხი, რომლის ხელმძღვანელობაც თქვენ დაგევალათ, ივანიშვილების ოჯახის კერძო საკუთრებაა და სწორედ ბატონი ბიძინაა, პირველ რიგში, დაინტერესებული ქვეყნის ფეხზე წამოდგომით. ამ ფონზე კი, აბსოლუტურად გაუგებარია თქვენი უარი, ან თუ გნებავთ, წაყრუება ამ გადაცემის აღდგენაზე.

თუ თქვენ მერაბ ბერაძის ასაკის გამო იკავებთ თავს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში აღიარებული ტელეკომენტატორები ლარი კინგი და, ასევე, არანაკლებად ცნობილი სერგეი კაპიცა არავის დაუწუნებია ასაკის გამო...

პატივისცემით, ჟურნალისტები: ანზორ ბაბუხადია, ზაურ ფიფია, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული ირაკლი ბ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, წყალტუბოში, გამსახურდიას ქუჩაზე, ირაკლი ბ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 23 ცალი ვაზნით ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„მედიანიუსი“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ვიქტორ დოლიძის ბებიის მიერ დაარსებულ ბავშვთა მე-16 პოლიკლინიკას დახურვას უპირებენ

თბილისის პოლიკლინიკების ხელოვნურად გაკოტრება, დახურვა და მათი კუთვნილი შენობების გაყიდვა მერიამ ორი წლის წინ დაიწყო და ეს პროცესი, როგორც ჩანს, დღემდე გრძელდება — ჩუღურეთის რაიონში მდებარე №16 ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმებმა „ვერსიას“ აცნობეს, რომ დირექტორი პოლიკლინიკას ხურავს. თანამშრომელთა ნაწილს მეზობელ პოლიკლინიკაში ასაქმებს, ნაწილს კი, უმუშევარს ტოვებს.

თანამშრომლებისგან ფარულ გარიგებაში მხიდებული მთავარი ექიმი დავით იოსელიანი ბრალდებებს უარყოფს

რუსუდან ბეზერაშვილი, №16 ბავშვთა პოლიკლინიკის ოკულისტი: „ჩვენი პოლიკლინიკა სახელმწიფო შპს-ა და მერიას ექვემდებარებოდა, მაგრამ 2011 წელს, მთავარმა ექიმმა დავით იოსელიანმა, მერიასთან შეთანხმებით, პოლიკლინიკას სახელმწიფო შპს-ს სტატუსი გაუუქმა და განგვიცხადა, შპს შესასყიდად, მერია 16 ათას ლარს გვთხოვსო. ოცმა თანამშრომელმა ფული შევაგროვეთ, ზოგმა 700 ლარი დადო, ზოგმაც — ათასი და პოლიკლინიკა შევისყიდეთ, თუმცა შპს-ს 100%-იანი წილი დავით იოსელიანის სახელზე გაფორმდა. პირობა ასეთი იყო: თუ ვინმე სამსახურიდან წავიდოდა ან შპს-დან გავიდოდა, დადებულ თანხასაც დაუბრუნებდნენ.

—კერძო შპს-დ რატომ დარეგისტრირდით?

— ამას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ თუ მერია შენობას გაყიდდა, დამოუკიდებელ ერთეულად დავრჩებოდით. მართალია, შენობა არ გაყიდულა, მაგრამ მთავარი ექიმი ახლა ცდილობს, ჩვენი პოლიკლინიკა წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე „საოჯახო მედიცინის ცენტრს“ შეუერთოს, თანამშრომელთა ნაწილი, ვინც თავის დროზე ფული დადო, იქ მიჰყავს, დანარჩენები კი უმუშევრები ვრჩებით, მთავარი ექიმი გვეუბნება, შპს-ს ლიკვიდაცია უნდა მოვახდინოო. ვინც ახალ კლინიკაში არ მოვყვებით, ფულის დაბრუნება მოვთხოვეთ, მაგრამ უარს გვეუბნება, თავის დროზე თანხის დაბრუნებას არ დაგპირებივართო. საერთოდ, პოლიკლინიკის „საოჯახო მედიცინის ცენტრთან“ შეერთებას ვეწინააღმდეგებით... სხვათა შორის, დავით იოსელიანმა ჩვენი პაციენტების ნაწილი სწორედ იქ გადაიყვანა. ჩვენი კლინიკა ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ვიქტორ დოლიძის ბებიის დაარსებულია და განცხადებით მხოლოდ მას კი არა, მერიას, ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებსაც მივმართეთ, ვთხოვეთ, გამოიძიონ, როგორ ხურავენ ხელოვნურად №16 ბავშვთა პოლიკლინიკას. საგულისხმოა, რომ პოლიკლინიკაში ფინანსური დარღვევებიცაა და 6-თვიანი სახელფასო დავალიანებაც. ვეხვეწებით იოსელიანს, აქ დავრჩებით, კონტინგენტს დავიბრუნებთ და სადაზღვევო კომპანიებთან ხელშეკრულებებსაც გავაფორმებთო, მაგრამ არ გვთანხმდება, რადგან „საოჯახო მედიცინის ცენტრში“ პირადი დაინტერესება აქვს — შვილი სამუშაოდ ჯერ ჩვენთან მოიყვანა, ახლა იმ კლინიკის დირექტორად დანიშნა.

— პოლიკლინიკის დახურვის ბრძანება მერიიდან მოდის?

— არა, ეს ორი მთავარი ექიმის ფარული გარიგებაა — დავით იოსელიანს ვალი დაუგროვდა, ამიტომ ხელფასით უზრუნველყოფილი რომ იყოს, ცდილობს, პაციენტები „საოჯახო მედიცინის ცენტრში“ გადაიყვანოს და ყველაფერ ამისთვის 35 თანამშრომელს წირავს. სხვათა შორის, შპს-ს გაფორმებაში 16 000 ლარი გადავიხადეთ, არადა, ამ ხელა თანხა არც ერთი შპს-ს გაფორმებას არ სჭირდება... 6 თვის სახელფასო დავალიანება დაგროვდა. თავდაპირველად, მთავარი ექიმი გვეუბნებოდა, სადაზღვევოს თანხებს ველოდებიო. ამასობაში, თვითონ ხელფასი 800-900 ლარამდე გაიზარდა მაშინ, როცა ექიმების ხელფასი 30-60 ლარია. მეტიც, ზოგს 2 თვეში 2 ლარი და 40 თეთრი გამოუწერეს. სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობას თავი რომ დავანებოთ, სახელმწიფო დაფინანსებაც გვაქვს და შიდა სტანდარტიც. სახელმწიფოს ჩვენი დავალიანება არ აქვს. სადაზღვევო კომპანიებიც ფულს პროგრამის მიხედვით გვირიცხავდნენ, თუმცა ხელფასს მაინც არ გვაძლევენ. რამდენიმე წელია, კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით, ერთ თანამშრომელსაც არ უსარგებლია. ახლა, როცა სახელმწიფო დაფინანსება წამოვიდა და მდგომარეობა უმჯობესდება, პოლიკლინიკის დახურვა შეიძლება? ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვიქტორ დოლიძე დაგვპირდა, გვერდით დაგიდგებით და ერთი ფლიგელის გარემონტებაშიც დაგეხმარებითო, მაგრამ ჩვენი მთავარი ექიმი ამაზე ვერ დავიყოლიეთ.

— ქალბატონო რუსუდან, პაციენტები გყავთ?

— დიახ, გვყავს და შემოსავალიც გვაქვს. მოვიდეს კომისია, დაჯდეს და ნახოს, რამდენი პაციენტი მოდის. პრეტენზია არ გვაქვს, ხელფასი 500 ლარი გვქონდეს... ადრე შენობა აუქციონზე 5-ჯერ გაიტანეს, 500 ათასად უნდოდათ გაყიდვა, მაგრამ არ გაიყიდა... სხვათა შორის, 90-იან წლებში იოსელიანმა ბავშვთა მე-5 საავადმყოფოს ლიკვიდაციაც თვითნებურად მოახდინა.

შპს ბავშვთა მე-16 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი დავით იოსელიანი „ვერსიასთან“ საუბრისას, ექიმ რუსუდან ბეზარაშვილის ბრალდებებს უარყოფს:

— 2011 წელს საქართველოში ყველა დაწესებულება, მათ შორის, ბავშვთა №16 პოლიკლინიკაც, რომელიც 500 ათას ლარად იყო შეფასებული, საპრივატიზაციო ნუსხაში გადავიდა და ელექტრონულ აუქციონზეც გაიტანეს. გაჩნდა საშიშროება, რომ პოლიკლინიკის ახალი მფლობელი თანამშრომელთა უმრავლესობას სამსახურის გარეშე დატოვებდა, ამიტომ კოლექტივმა გადავწყვიტეთ, რომელიმე მეზობელ პოლიკლინიკას შევერთებოდით. დედაქალაქის მერიაში მითხრეს, სხვა პოლიკლინიკასთან შესაერთებლად საჭიროა, სახელმწიფო შპს კერძო შპს-დ დარეგისტრირდეს და პოლიკლინიკის ქონება შეისყიდოთო, რომელიც მაშინ 16 000 ლარად შეფასდა, მაგრამ ეს თანხა არ გვქონდა, ამიტომ, 20-მა ადამიანმა გადავწყვიტეთ, ფული შეგვეგროვებინა და შპს. გვეყიდა. დრო არ ითმენდა და ამიტომ ვერ მოვასწარით, რომ შპს 20 ადამიანზე დაგვერეგისტრირებინა. გვეშინოდა, ჩვენი პოლიკლინიკის ქონების შესყიდვაზე განაცხადი კონკურენტ პოლიკლინიკებს არ შეეტანათ. ალბათ, არასწორი იყო და ამის უფლებაც არ მქონდა, მაგრამ ვირბინე და სხვა პოლიკლინიკებს ვთხოვე, ამ შპს-ს მე ვყიდულობ, ანგარიში გამიწიეთ და მის შესყიდვაზე განაცხადი არ შეიტანოთ-მეთქი. ასე გავიმარჯვეთ ელექტრონულ აუქციონში. რაც შეეხება თანხის დაბრუნება-არდაბრუნებას, ამაზე საუბარი არ ყოფილა — შეგუებულები ვიყავით, რომ ჩვენს ქონებას იქ გადავიტანდით, რომელ დაწესებულებასაც შევუერთდებოდით, ან გავინაწილებდით. 2012 წლის მარტში მერიიდან დამირეკეს და შემახსენეს, რომ შენობა უნდა დაგვეცალა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ფართი აგვეღო და მუშაობა დამოუკიდებელ ერთეულად გაგვეგრძელებინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საყოველთაო დაზღვევა გამოცხადდა, ჩვენს პოლიკლინიკაში დარეგისტრირება მხოლოდ 1100-მა პაციენტმა ისურვა. ეს კი, თვეში 1100 ლარის შემოსავალს ნიშნავს. ამ მწირი თანხით პოლიკლინიკას ვერ შევინახავთ. ამასთან, სადაზღვევო კომპანია „არქიმედე გლობალ ჯორჯიამ“, რომელიც 6 წლამდე დაზღვეულებს აფინანსებდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სპეციალისტების სიმცირის გამო, ხელშეკრულება შეგვიწყვიტა. შესაბამისად, 0-დან 6-წლამდე ბავშვები სხვა პოლიკლინიკებში გადანაწილდნენ, ამიტომაც გადავწყვიტე, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიკლინიკას შევუერთდეთ, სადაც პედიატრიული სამსახური შეიქმნება და ჩვენს თანამშრომლებს დავასაქმებთ. ბევრმა მუშაობა იქ უკვე დაიწყო, ორი ექიმი კი, გადასვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებს: თვალის ექიმს რუსუდან ბეზერაშვილს „საოჯახო მედიცინის ცენტრის“ თანამშრომელთან პიროვნული შეუთავსებლობა აქვს, მეორეს კი, ცენტში თანამდებობა უნდა. თანამშრომლებს შევთავაზე, შპს გადაეფორმებინათ და თანამდებობას იმ დღესვე დავტოვებდი. ამისთვის დღესაც მზად ვარ — არ მინდა, უფუნქციო კლინიკის დირექტორი მერქვას, მაგრამ დღემდე არ გადაიფორმეს და ახალ კლინიკაში წამოსვლაზე თანახმა არიან. კონტინგენტის სიმცირის გამო, მე-16 პოლიკლინიკას ვერ შევინახავ, თან უხელფასობისა და მწირი ანაზღაურების გამო, ზოგიერთი სპეციალისტი აღარ მყავს, არც საკმარისი აპარატურა მაქვს და დაზღვევით გათვალისწინებულ მოვალეობასაც ვერ შევასრულებ.

— სახელფასო დავალიანება რატომ დაგროვდა?

— ესეც კონტინგენტის სიმცირითაა გამოწვეული... მეც და იმ 18 თანამშრომელსაც, ვისაც წინამძღვრიშვილზე უნდა გადასვლა, ხელ-ფეხი გვაქვს შეკრული, რომ ნორმალურად ვიმუშაოთ. თუ ეს რამდენიმე ადამიანი ვერ დავითანხმე, შპს-ს გაკოტრების პროცესს დავიწყებ. გაკოტრების შემდეგ კი, მათ ქონებასა და თავიანთ თანხას მივცემთ.

— ბატონო დავით, 90-იან წლებში ბავშვთა ნეფროლოგიის კლინიკა რატომ დახურეთ?

— ეს ყველაზე ბინძური ჭორია. იქ აფხაზეთიდან ჩამოსული ლტოლვილები შევიდნენ და სიტუაციას ველარ ვაკონტროლებდი, ამიტომ განცხადება დავწერე და წამოვედი, კარგა ხნის მერე, ეს დაწესებულება ლტოლვილებს გადასცეს და ამიტომ დაიხურა.

რითი განსხვავდებიან ე.წ. ახალი თაობის ვეტერანები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისგან

არაერთი დაპირების მიუხედავად, ომის ვეტერანთა სოციალური პრობლემები დღემდე მოუგვარებელია. ვეტერანთა რესოციალიზაციასა და ჯანმრთელობისა თუ სოციალურ მდგომარეობაზე „ვერსიას“ ვეტერანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და თანადგომის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გასტრო-ენტეროლოგი მიმოზა კანკია ესაუბრა.

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვეტერანები ახალგაზრდები არიან და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისგან რადიკალურად განსხვავდებიან — დამარცხებული ომის ჯარისკაცის ფსიქოლოგია, თურმე სხვანაირია: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები შედარებით გაწონასწორებულნი არიან. ახალი თაობის ვეტერანებს კი ადვილად ფეთქებადი ხასიათი აქვთ. ამასთან, ე.წ. ახალი თაობის ვეტერანთა უმეტესობა იძულებით ადგილნაცვალია და სახლში საკუთარი კუთხეც არ აქვს. მართალია, ჰოსპიტალში სარეაბილიტაციო ღონისძიებები ტარდება, მაგრამ მათ მეტი ესაჭიროებათ. ადრე სოციალური და სარეაბილიტაციო პრობლემები უფრო მოგვარებული იყო. ამიტომაც მეორე მსოფლიო იმის ვეტერანები გაწონასწორებულნი არიან... ომში მიღებული ნერვული სტრესის გამო, ვეტერანებს, შეიძლება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ან კუჭ-ნაწლავის პათოლოგიები განვითარდეთ, რასაც ხელს სოციალური პირობებიც უწყობს — მკურნალობას დროზე ვერ იტარებენ. მოკლედ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანების დაავადებებს სოციალური მდგომარეობა უფრო ამძიმებს. ვერა და ვერ მოხდა მათი რესოციალიზაცია, დასაქმება... არადა, ეს აუცილებელია — დაუსაქმებლობის გამო, ისინი თავს სრულფასოვან ადამიანებად ვერ გრძნობენ და ეს მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიის დაცვას ჯანმრთელობა შესწირეს. სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანს ღირსეული ცხოვრების პირობები ნამდვილად უნდა ჰქონდეს. როცა პაციენტს წამალს ვუწერ, მორიდებით ვეკითხები ხოლმე, მედიკამენტის შეძენას შეძლებს თუ ვერა. სხვათა შორის, პაციენტებიც მეკითხებიან ხოლმე, ექიმო, რასაც მიწერთ, ძალიან ძვირი ღირსო? ვერ წარმოიდგენთ, ეს ექიმისთვის როგორი დამთრგუნველია. ჩვენი ჰოსპიტალი სახელმწიფოსგან წელიწადში 800 ათასი ლარით ფინანსდება, რაც ძალიან მიზერულია — ეს თანხა იხარჯება ექიმების ხელფასზე, კომუნალურ გადასახადებსა და ვეტერანი პაციენტების სტაციონარში მკურნალობაზე.

ნინო ხარშილაძე

მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილის რჩევები ახალ ხელისუფლებას



ნათია ვასაძე
555-98-61-65

საქართველოს სახალხო არტისტი ნოდარ მგალობლიშვილი პოლიტიკურ პროცესებში ეროვნული მოძრაობიდანაა ჩართული. ამასთან, ბატონი ნოდარი პირველი იყო, ვინც ღირსების ორდენზე უარი განაცხადა და ამით შევარდნაძის ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა. მოგვიანებით, ოპოზიციაში ნაციონალურ ხელისუფლებასაც ჩაუდგა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენისთანავე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი გახდა.

— რეპრესირებული ოჯახიდან ვარ და ამიტომ ბავშვობა მტკივნეულად მახსოვს — მამაჩემი, რომელიც აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორის მოადგილე იყო, 1938 წელს დაიჭირეს, ათი წელი მიუსაჯეს და გადაასახლეს. 1942 წელს საჯარიმო ბატალიონში წავიდა და 46-ში ჩამოვიდა. ზუსტად 2 წელიწადში კი, ავად გახდა და გარდაიცვალა. მამის გარდაცვალება მძიმედ გადავიტანე — სამი დღე-ღამე მეძინა და მხოლოდ დასაფლავების დღეს გამეღვიძა. სწავლის გაგრძელებას კონსერვატორიაში ვაპირებდი, მაგრამ ამ სტრესის გამო, ხმა დავკარგე და გამოცდაზე აღარ გავედი. გადავწყვიტე, „გეპეი“-ში ჩამებარებინა, მაგრამ ბედად, მეგობარი თეატრალურში, სარეჟისოროზე აბარებდა და მირჩია, სამსახიობოზე ჩააბარეო. დავუჯერე და ასე მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში. შესანიშნავი პედაგოგები მასწავლიდნენ — დოდო ალექსიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე... ინსტიტუტიდან მარჯანიშვილის თეატრში გამანაწილეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, ბედი სხვადასხვა თეატრშიც ვცადე. 1976 წელს, მარჯანიშვილის თეატრს საბოლოოდ დავუბრუნდი და მას შემდეგ ამ თეატრში ვარ.

— ბატონო ნოდარ, პოლიტიკურ პროცესებში ეროვნული მოძრაობიდან ხართ ჩართული...

— როგორც გითხარით, საკმაოდ მძიმე ბავშვობა მქონდა — კარგად მახსოვს ის შიში და გაჭირვება, რაც ჩემმა ოჯახმა გამოიარა. ჩემი ფსიქიკა უსამართლობასთან საბრძოლველად ალბათ მომზადებული იყო. მებაირაღე და ლიდერი, რა თქმა უნდა, არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ 9 აპრილიდან მოყოლებული, პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ვარ ჩართული.

— ფელინი ამბობდა, როცა ქუჩაში არეულობა იწყება, ხელოვანმა დარაბები უნდა დახუროსო. როგორც ჩანს, არ ეთანხმებით, არა?

— მაგას რომ ადამიანი იტყვის, ის მხოლოდ თავისი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე. არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ხელოვანმა პროტესტი მხოლოდ პროფესიით უნდა გამოხატოს. თუ საჭიროა, სამშობლოს თავიც უნდა შეაკლა.

— შევარდნაძეს ღირსების ორდენზე უარი რატომ უთხარით?

— სხვათა შორის, პირველი ვიყავი, ვინც ამ ორდენზე უარი თქვა. შევარდნაძემ ქვეყანაში ისეთი სიტუაცია შექმნა, მივხვდი, ეს იმის გაგრძელება იქნებოდა, რაც ბავშვობაში მქონდა ნანახი, ამიტომ არ მსურდა, ღირსების ორდენი ისეთი რეჟიმის მხრიდან მიმეღო, რომელმაც ღირსება წამართვა და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრება მაიძულა.

— სააკაშვილის ხელისუფლებას რაღას ერჩოდით?

— თითქოს წესად იქცა, რომ ერთმანეთზე უარესი მთავრობები მოდიოდნენ. რაც გვჭირს, ყველაფერი ჩვენი პასიურობის ბრალია.

ერთ ამბავს შეგახსენებთ: საბერძნეთში, ასხლეტილმა ტყვიამ ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა. მთელი საბერძნეთი ფეხზე დადგა და თანამდებობიდან შს მინისტრი გადადგა. ჩვენთან კი რა მოხდა?! — ზოგს შვილი მოუკლეს, ზოგს ქონება წაართვეს, მაგრამ გვერდით არავინ დაუდგა და არც ხმა ამოიღო — მე არ მეხებაო. პირჯვარს რომ ვიწერთ და ჯვარს ვატარებთ, სხვა რამეც არის საჭირო, ამიტომ ნურავის ნურაფერს დავაბრალებთ, ის სისტემაც ჩვენ შევქმენით და ეს პრეზიდენტიც.

— ისე, სააკაშვილი სათავეში სწორედ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერით მოვიდა...

— გაფეტიშება ადამიანსაც აფუჭებს და საზოგადოების ნიჰილიზმსაც იწვევს. ლიდერი საზოგადოებამ უნდა გაზარდოს. თუ საზოგადოებას რეჟიმის საწინააღმდეგო მუხტი არ აქვს, ყოველთვის დაიჩაგრება. ბოლო 9 წლის განმავლობაში რაც სააკაშვილმა ქართველ ხალხს დამართა, წიგნშიც არ წამიკითხავს. 30-იან წლებში, ადამიანებს ციმბირში ყოველგვარი გამოძიების გარეშე ასახლებდნენ, ნაციონალების დროს ციმბირი აღარ იყო, მაგრამ იყო ციხე, სადაც ისეთი რამ გაუკეთა ქართველმა ქართველს, ფაშისტებს რომ არ გაუკეთებიათ ებრაელებისთვის. ამას წინათ, საუბარი ჩამოვარდა, პრეზიდენტი უნდა დავიჭიროთ თუ არაო. სააკაშვილი კი არ უნდა დავიჭიროთ, თბილისში, რომელიმე ძველ უბანში, თავისივე თანამემამულეების ანუ მათ გვერდით უნდა ვაცხოვროთ, ვისაც შვილი მოუკლა, ქონება წაართვა ან ციხეში აწამა... მერე ნახავს, ქუჩაში როგორ გავა. ხომ ვნახეთ, 8 თებერვალს მის გარემოცვას რაც დამართეს?! ...პოლიტიკოსობა ის კი არაა, ქვეყნის სადავე გეჭიროს ხელში და მთავრობაში იჯდე, ქვეყნის მართვა უნდა შეგეძლოს. ახალმა ხელისუფლებამ იმაზე უნდა იფიქროს, ჩვენს ხალხს რა სჭირდება და არა ევროპას. რომ ვიძახით, ევროპისკენ მივდივართო, რა შუაშია ევროპა, ჩვენ კავკასიელები ვართ და ევროპულ ქვეყნებს არ უნდა შევეჯიბროთ. ჩვენს მტერს, ხანდახან ევროპაში რომ ხდება, თუმცა აქაც დიპლომატიაა საჭირო... საერთოდ, პოლიტიკაში რომ ხარ, ცოტა შორს უნდა გაიხედო. მსოფლიომ ოკუპანტი რუს ხალხს კი არა, რუსეთის მთავრობას უწოდა. ასე რომ, ყველა გზა უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დასარეგულირებლად.

— ბატონო ნოდარ, ახალი ხელისუფლება, თქვენი აზრით, სწორი მიმართულებით მიდის?

— ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებამდეც სწორი ნაბიჯებით იარა და ახლაც ასე აგრძელებს. მის ადამიანობაზე მისი ბიოგრაფიაც მეტყველებს — 14 წლის იყო და უკვე ოჯახს ინახავდა, მერე ხელობა ისწავლა, 16 წლის ასაკში თბილისში ჩამოვიდა და ამდენს მიაღწია. ერთხელ ვუთხარი, ბატონო ბიძინა, თქვენისთანა მდგომარეობა რომ მქონოდა, პოლიტიკაში არ მოვიდოდი-მეთქი. მიპასუხა, ვიგრძენი, ქვეყანა მეღუპებოდა და ეს ნაბიჯი ამიტომ გადავდგიო.

— მინისტრთა კაბინეტი მოგწონთ?

— ბუნებრივია, როცა ახალი ხელისუფლება მოდის, თანამდებობებზეც ახალი სახეები ჩნდება. ყველა იმ მინისტრის წინააღმდეგი ვიქნები, ვინც თანამდებობებზე პროფესიონალიზმის გათვალისწინებით კი არა, ნაცნობ-მეგობრობით შეარჩევს ადამიანებს. ჯერჯერობით, ასეთ რამეს ვერ ვხედავ.

— თუკი ახალმა ხელისუფლებამ იმედი გაგიცრუათ, რას იზამთ?

— საქმე უნდა გაკეთდეს, ხალხმა უნდა ამოისუნთქოს, პირველ რიგში, სოციალური პრობლემები უნდა მოიხსნას... ყველაფერ ამას კი, სოფლის მეურნეობის აღორძინება სჭირდება, მაგრამ როგორ? — გლეხი მიწის დამუშავებასაა გადაჩვეული, ხალხი სოფლებიდანაა გაკრეფილი, მიწის დამმუშავებელიც აღარავინ დარჩა. ერთი წელი კიდევ დავაკვირდები პროცესებს, ვნახავ, ესენი რას იზამენ და იმის მიხედვით ვიმოქმედებ, თუმცა არ მგონია, ეს მთავრობაც მხოლოდ გაუთავებელი დაპირებებით შემოიფარგლოს.

სააკაშვილი და ერდოღანი შეთანხმდნენ, რომ რაბათის გუმბათი არ შეიცვლება

სტამბოლში, დოლმაბაღჩას სასახლეში, საქართველოს პრეზიდენტისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრა გაიმართა. მიხეილ სააკაშვილმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ისაუბრეს და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მათ იმ პროექტებზეც გაამახვილეს ყურადღება, რომელსაც თურქეთი და საქართველო ერთობლივად ახორციელებს.

„მხარეებმა ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის თემაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეკლესიებში ქართველ სპეციალისტებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაუშვებენ, რათა მათ სრული აღწერა და აღდგენითი სამუშაოების სათანადოდ მომზადება შეძლონ. შეხვედრისას საუბარი რაბათის ციხის საკითხსაც შეეხო. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ რაბათის ციხის გუმბათი არ შეიცვლება, ხოლო ყველა სხვა საკითხი ურთიერთპატივისცემის პირობებში გადაწყდება“, — ნათქვამია პრეზიდენტის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

რაბათთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გამოეხმაურა. გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ აუცილებლად გაეცნობა თურქეთში პრეზიდენტის ვიზიტის დეტალებს და განცხადებას ამის შემდეგ გააკეთებს.

„შევისწავლით, სხვა რა საკითხებზე ისაუბრა პრეზიდენტმა, რადგან არ მგონია, მხოლოდ რაბათის გუმბათის ფერზე იყო საუბარი. ალბათ, სხვა საკითხებიც იყო. რაბათის გუმბათთან დაკავშირებით, კომპლექსური პრობლემაა. იქ არის ცხაურები და ბევრი რამ, რაზეც გვქონდა მსჯელობა“, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ და განმარტა, რომ კულტურის სამინისტრო ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ვერ იქნება. საბოლოოდ, სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ, რა და როგორ სჯობს, რადგან კითხვის ნიშნები არ იყოს საზოგადოებაში. კულტურის სამინისტრომ კი შექმნა ფონი და სივრცე, სადაც სპეციალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები იკრიბებიან და მსგავს საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ.

„ვერსიანიუსი“

„კავკასიური სახლი“ რუს და ქართველ ახალგაზრდებს უმასპინძლებს

8-დან 14 აპრილის ჩათვლით, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — „კავკასიური სახლი“ რუს და ქართველ ახალგაზრდა პროფესიონალთა დიალოგს უმასპინძლებს. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალისტები, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარები და სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საქართველოსა და სამხრეთ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ორმხრივი დიალოგის საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებსაც ითვალისწინებს.

აღნიშნული პროექტი შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური უსაფრთხოების განყოფილებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „კონფლიქტის ფონდის“ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და ახალგაზრდა პროფესიონალთა მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის დიალოგს ითვალისწინებს.

პროექტის მიზანი, საქართველოსა და სამხრეთ რუსეთში მცხოვრებ ახალგაზრდა პროფესიონალთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

„ვერსიანიუსი“

თბილისში ოთხი მეძავი მოკლეს?!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რა შეიცვალა არჩევნების შემდეგ უძველესი პროფესიის წარმომადგენლების ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სექსმუშაკების საქმიანობაში? ამის გასარკვევად, „ვერსიამ“ მეძავთა თავშეყრის რამდენიმე ადგილი მოინახულა... საღამოს 6 საათია. მეტროსადგურ „ვაგზლის მოედნის“ ცენტრალური შესასვლელის წინ რვა ქალი დგას, ჩაცმულობაზე, მაკიაჟსა და მიხვრა-მოხვრაზე ეტყობათ, რომ კომერციული სექსმუშაკები არიან. მათ ჟურნალისტის ისე ეშინიათ, როგორც — თოფის გავარდნის. ვარწმუნებ, რომ ვიდეოკამერა არ მაქვს.

ქართული სექსინდუსტრიის ჭირ-ვარამი — რატომ წყევლიან სააკაშვილს, რას სთხოვენ „პუტანკები“ ახალ ხელისუფლებას და რატომ გაიაფდა მეძავის მომსახურეობა

— გაზეთს რაში აინტერესებს, მე რას ვაკეთებ?! — **აგრესიულად მეუბნება ზომაზე მეტად ჩასუქებული ქალი, რომელსაც არც ტანზე „მოტმასნილი“ ღრმა დეკოლტე უხდება და არც — მოკლე კაბა, მაგრამ რას იზამს — ასეთია მისი „უნიფორმა“.**

— ყველაზე გაუბედურებული ფენა ჩვენ ვართ. აი, ის კაცი მჯობია, იქ რომ ზის? (ხელს ინვალიდი მათხოვრისკენ იშვერს, — ნ.ხ). ის ყველას ეცოდება, ჩვენ კი, ყველა გვაფურთხებს და გვაგინებს. რომ გაუჭირდებათ და ქალი მოუნდებათ, მერე ჩვენთან მორბიან და ერთი საათის განმავლობაში „სიცოცხლე-სიხარულოს“ გვეძახიან. მეორე დღეს რომ გამოივლიან და უფასოდ უნდათ, უარს ვეუბნები და მაგინებენ.

— ადრე პოლიცია გავიწროებდათ, ახალი მთავრობის პირობებში ამ მხრივ რა ხდება?

— შევარდნაძის დროს ცუდ დღეში ვიყავით — პოლიცია ფულსაც გვართმევდა, უფასოდაც „გვხმარობდა“ და აქ დგომასაც გვიშლიდა. ახლაც გვიშლიან, მაგრამ არ გვერეკებიან, ხანდახან მოვლენ და გვეუბნებიან, ნუ დგახართო. მაგათაც რა ქნან — დავალება აქვთ ზევიდან.

— ფასები როგორია?

— ერთი წელია, ძალიან გაგვიჭირდა, პრაქტიკულად, ტყუილად ვმუშაობთ. 10 ლარი თუ მოგვცა ვინმემ, კარგია. ზოგს საჭმელზე მივყვებით... აბა, რა ვქნათ? სულ არარაობას ხომ სჯობია? მთელი დღე აქ ვდგავართ, ზედაც არავინ გვიყურებს და იმის ფული არ გვაქვს, ერთი ხაჭაპური მაინც ვიყიდოთ.

— მახსოვს, 3-4 წლის წინ 70 ლარსაც კი იღებდით. თქვენი მომსახურეობა რატომ გაიაფდა?

— ჩვენთან 70 ლარი არ ყოფილა, სანაპიროსა და ყაზბეგის გამზირზე მაგარი გოგოები რომ იდგნენ, ეგენი იღებდნენ. ჩვენთან, მაქსიმუმ, 30-40 ლარი იყო.

— რატომ გაიაფდა?

— ჭირი და ჯანდაბა სააკაშვილს, რომ გადააგვარა ახალგაზრდები და ტრადიციები მოშალა, ადრე, გენაცვალე, პატარა ბიჭები დადიოდნენ. ახლა აღარავის აღელვებს ქალიშვილობა. ბიჭების უმეტესობას თავისი „ნაშა“ ჰყავს და უფასოდ აქვთ სექსი, ჩვენ ვიღა მოგვეკარება? გიჟია კაცი, ჩვენთან ფული გადაიხადოს მაშინ, როცა ლამაზი ახალგაზრდა გოგო ჰყავს? ეს სულელი გოგოები კი ტყუვდებიან, რომ ცოლად მოიყვანს ის ბიჭი.

— ისიც უთხარი, ბარემ, ჩინელებმა რა გვიყვეს, მაგათი დედაც, — **ისროლა რეპლიკა მოშორებით მდგომმა ქალმა.**

— ასეთი რა გააკეთეს?

— ჩამოეთრნენ აქ, ეგ მახინჯები, გახსნეს „ბორდელები“ და 20 ლარად ყირაზე დგებიან, 18-20 წლის ჩინელი გოგოები, თან მაგათ ჩვენ ვაჯობებთ? — გენეტიკურად, ყველა ბოზია!

— ბორდელის გახსნას ქართული კანონმდებლობა კრძალავს!

— მაგათთვის ყველაფერი შეიძლება, აბა, ქართველმა გახსნას, რას უზამს პოლიცია. ბორდელია, აბა, რა არის? — რა მნიშვნელობა აქვს, გარედან რა აწერია. ჩინური მასაჟის კაბინეტები რომ არის, მაგ საქმიანობითაა დაკავებული თითქმის ყველა. გადაშენდა ის დღე, რა დღესაც აქ მოვედი, არ მერჩივნა, ტუალეტები მეხეხა?!

— თქვენი კლიენტები ვინ არიან, თანამდებობის პირებს ემსახურებით?

— შევარდნაძის დროს — კი, ახლა — არა. ძირითადად, სოფლიდან ჩამოსული კაცები არიან, ცოლები რომ სოფლებში ჰყავთ. თანამდებობის პირები არა, მაგრამ ერთი იცოდეთ, რა დღეში არიან მათი „პუტანკა“ ცოლები. მოდიან და ორალურ სექსს გვთავაზობენ.

— უცხო კაცების არ გეშინიათ?

— ეგ ეტაპი უკვე გადავლახეთ, რა უნდა მიქნას, თუ მომკლავს, დავისვენებ!

— დღეში რამდენს შოულობთ?

— გააჩნია, დღეს, შეიძლება, კვირა ისე გავიდეს, 10 ლარის მეტი ვერ ვიშოვოთ. ყველაზე მეტი, თვეში 400 ლარი გამომდის.

— სადმე მუშაობა რომ დაიწყოთ, არ გირჩევნიათ?

— ვინ ამიყვანს, ზედ მაწერია, რაც ვარ. კი ბატონო, ცოტა ისე ჩავიცვამ და მივალ, მაგრამ ამ დამპალ ენასა და მანერებს რა მოვუხერხო? დავიწყე მარკეტში მუშაობა, თემქაზე, ვიფიქრე, მეშველა-თქო, მაგრამ რად გინდა, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, ნერვები მაქვს გაფუჭებული. კლიენტებსა და დისტრიბუტორებს ხან რა საშინელებას ვეუბნებოდი, ჩემდაუნებურად, ხან — რას. უფროსმა გამომაგდო. ასეთ დღეში ვართ ყველა. ჩვენზე საცოდავი ხალხი ამ ქვეყანაზე არ მოიძებნება.

ნეტა, რომელიმე მთავრობის ხელში დაგვადგება საშველი?! ხომ შეიძლება, ვინმემ ჩვენზე იზრუნოს — გახსნას ერთი ფაბრიკა და დაგვასაქმოს. ვირებივით ვიმუშავებთ. მოგვბეზრდა ხორცისა და სულის ჯიჯგნა.

ვაგზლის მოედანზე მომუშავე უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს გამოვემშვიდობე და გეზი თამარ მეფის გამზირისკენ, ე.წ. ცირკის ქალებისკენ ავიღე. ქალები ხიდთან დგანან.

— ადრე ცირკის წინ იდექით. აქ რატომ გადმოინაცვლეთ?

— იქ პოლიციამ და მერიამ აღარ დაგვაყენა, გაჩერებაა და არ შეიძლება, ხალხი ჩივისო. აქ ხმასაც არავინ გვცემს. ან რას ვაშავებთ, ჩვენთვის ვსხედვართ, მოკუნტულები.

— ადრე ბევრი იყავით. დანარჩენები სად წავიდნენ?

— ჩვენ რომ დიდი დღე არ გვიწერია, ხომ იცით? — ზოგმა შიდსი, ჰეპატიტი და ათასი დაავადება „აიკიდა“ და მოკვდა, ზოგი ფსიქიკურად შეირყა, ზოგიც ციხეში მოხვდა, ოთხი ქალი კი მოკლეს.

— ვინ მოკლა და როდის?

— რა ვიცით, კლიენტებმა წაიყვანეს. ორი სასტუმროში იპოვეს მკვდარი. ერთი — ლისის ტბაზე და ერთი — კოჯრის ტყეში.

— რას ერჩოდნენ?

— აბა, მე რა ვიცი? ზოგი სექსუალური მანიაკია და ტვინი „ეკეტება“.

— თქვენთან ფასები როგორია?

— 5-დან 20 ლარამდე, გააჩნია, რა უნდათ.

რაც მანქანების დაბურული მინები აკრძალეს და ჯარიმები თუ რაღაც ჯანდაბა შემოიღეს, მას მერე მუშაობა აღარ ღირს. ადრე მანქანაში ვემსახურებოდით კლიენტებს, ბუნებაში. ახლა ბევრი მაგას ვერ რისკავს, სასტუმრო კი უჯდება 10-20 ლარი. მე რომ 30 ლარი დავუფასო, ამდენს ვეღარ იხდის, ამიტომ იძულებულები გავხდით, ფასი დაგვეწია.

— ამბობენ, საუნებსა და სასტუმროებში ე.წ. ადგილობრივი ქალის მომსახურეობა 70-100 ლარი ღირსო...

— კი, იქ მეტიც ღირს, მაგრამ ჩვენ ვის რაში ვჭირდებით? იქ აშხვართული გოგოები ჰყავთ და მათხოვრულ ფასად ამუშავებენ, შეუძლიათ თუ არა. მე თუ დავიღლები და აღარ შემიძლია, სახლში წავალ, მაგათ კი უფროსები არ უშვებენ, თან მაგათაც არ აძლევენ ბევრს — მომსახურეობის 20%-ს აძლევენ. ხო გული გამისკდება, ჩემი ხორცის ჯიჯგნაში ვიღაცამ 100 ლარი რომ გადაიხადოს და მე 20 ლარი მომიგდონ.

— თანამდებობის პირები თუ დადიან თქვენთან?

— არა, ვის რაში ვჭირდებით? ეგენი ელიტურ „პუტანკებთან“ ან „ლიჩნი ნაშებთან“ ატარებენ დროს. ჩვენი კლიენტები „ბაზარნიკები“, ტაქსის მძღოლები, სოფლელები და უცოლო კაცები არიან.

ვერსიანიუსი

„ამერიკა ერთსქესიანთა ქორწინების გამო ისჯება“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთული ბაპტისტური კონვენციის ხელმძღვანელი ფრედი ლუთერი ფიქრობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობის მხრიდან აშშ-ს მისამართით ბოლო დროს გაკეთებული მილიტარისტული განცხადებები, შემთხვევითი არ არის.

ლუთერის აზრით, ყველაფერში ღმერთის ხელი ურევია და ამერიკა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ რამდენიმე შტატში მიმდინარე დისკუსიების გამო ისჯება, — იუწყება ბრიტანული „პინკნიუსი“.

„ბოლო ერი, რომელმაც ეს გააკეთა და ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა, განადგურდა. სოდომი და გომორი დაინგრა“, — განაცხადა ლუთერმა და დასძინა, რომ ღმერთს ამერიკაც შორდება.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოკორეა აშშ-სა და სამხრეთკორეას ბირთვული დარტყმების განხორციელებით ემუქრება.

„მედიანიუსი“

ჰოლანდიელი ჰომოსექსუალები პუტინს ემუქრებიან

ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამის მკვიდრი ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ და ტრანსგენდერულ პირთა (LGBT) თემი ვლადიმერ პუტინისთვის საპროტესტო დახვედრას გეგმავს.

როგორც ცნობილია, პუტინი ამსტერდამს ოფიციალური ვიზიტით 8 აპრილს უნდა ეწვიოს. ქალაქის LGBT საზოგადოება აპირებს, სწორედ ამ დღეს, ამსტერდამში, იმ ადგილებში, სადაც პუტინს გადაადგილება მოუწევს, გეიაღლუმი მოაწყოს. ამასთანავე, ქალაქში აღიმართება ზემოხსენებული თემის დროშები, რომელიც ცისარტყელას ფერებისგან შედგება.

LGBT აქტივისტები აპირებენ, გააპროტესტონ რუსეთში არსებული მდგომარეობა სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც „ამნესტი ინტერნეშენალის“ ანგარიშშიცაა ნათქვამი.

„მედიანიუსი“

გელა ქოქიაშვილი

ქვათა მატიანე

უდაბნოდ ქცეული ქვეყანა

გარეჯი

2013 წლის თებერვალია, მეზვერისა და ფარისევლის კვირაა. გარეჯში გარდაბნიდან შევდივართ. ვახტანგ VI-ის არხს გადავკვეთავთ თუ არა, ვაკე ადგილებს შიშველი სერები და გორაკები შეერევა. სტრაბონის სიტყვები მახსენდება: **„შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღროჩოღრო კამბისენეზე, რომელიც მდინარე ალაზანიოსთან იმყოფება“**. ანტიკური ხანის ისტორიკოსი კამბისენეში კამბეჩოვანს ანუ აწინდელ ქიზიყს, ხოლო ალაზანიოსში მცირე ალაზანს ანუ იორს გულისხმობს. გეოგრაფიულად ეს იორსა და მტკვარს შორის არსებული ის ტერიტორიაა, სადაც ერთმანეთს ისტორიული კუხეთი და ჰერეთ-კამბეჩოვანი ემეზობლებოდა, ხოლო ქვევით ალბანეთი მდებარეობდა.

ამ ვრცელ მიწებს XII საუკუნიდან მრავალმთაც ერქვა და ყარაიაც. რაკი ალბანური მემკვიდრეობა XX საუკუნიდან აზერბაიჯანმა დაიჩემა, ყარიას სამხრეთ მონაკვეთი დღეს მის საზღვრებშია. ჩვენ კუხეთ-ჰერეთის წილი დაგვრჩა, თუმცა ამ წილის მნიშვნელოვანი მონაკვეთიც, ქართული კლდის მინასტრებით, გაურკვეველ ვითარებაში, ჩვენმა მეზობლებმა დაიკავეს და სადავო გაგვიხდა.

გარეჯი, როგორც ზევით ითქვა, გვიანდელი მრავალმთაც არის, ხოლო თავის მხრივ, მრავალმთა იმასვე გულისხმობს, რასაც სტრაბონი ოღროჩოღროს უწოდებდა. უყურებ ამ პატარ-პატარა ხეობებს და თვალი ვერ ეგუება, რომ მათში ფშანები არ დის და კორომები არ შრიალებს.

მაშ რა მოხდა? **პროფესორ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით, კახეთის არქოლოგიურმა ექსპედიციამ კარგა ხნის წინათ ნამარ გორასთან და გარეჯის სხვა პუნქტებში მიაკვლია გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ეპოქების ნაქალაქარებს, რომელთაგან ერთ-ერთის სიგრძე კილომეტერს აღწევს.** ამ აღმოჩენით ისე დაინტერესდა რამდენიმე გერმანელი არქეოლოგი, რომ ტროას გათხრებს თავი მიანება და ჩვენთან ჩამოვიდა. მათ სატელიტიდანაც კი მოახერხეს მიწისქვეშა ნაქალაქარის ფოტოგრაფირება. ნაქალაქარის ნაგებობები ხეთურის მსგავსი ყოფილა — კედლები, თურმე, ხარიხებით შექმნილ ღიობში ჩაყრილი წვრილი ქვით ამოჰყავდათ, რადგან მაშინ კირის დუღაბი ჯერ არ იცოდნენ. ის-ის იყო სერიოზული არქეოლოგიური გათხრები უნდა დაწყებულიყო, რომ ქვეყანა აირია და კიაზო ფიცხელაურიც არათუ მარტო და უსახსროდ დარჩა, არამედ მას კახეთის არქეოლოგიური ცენტრის ოფისიც წაართვეს...

როგორც დგინდება, 2500 წლის წინ, გარეჯის მიდამოებში ჯერ კიდევ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც, მიწათმოქმედებასთან ერთად, ვაჭრობასა და ლითონის მოპოვება-დამუშავებას ეწეოდა.

ლითონის წარმოება, ბუნებრივია, დიდძალ

დავითის ლავრის ქვედა და ზედა ეზოები

ნახშირს საჭიროებდა, ხოლო ნახშირი ათჯერ მეტ ხე-ტყეს. ასე ნადგურდებოდა კორომები, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. სხვათა შორის, აქ ერთ მომენტზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ლითონს ეძებდნენ კლდეებში, რამაც ბევრი პარეხი (გამოქვაბული) შექმნა. ასე იყო კაბადოკიაში, სამცხე-ჯავახეთში, ასე უნდა ყოფილიყო სარკინეთში, სადაც შიო მღვიმელი დაეყუდა და ასე უნდა ყოფილიყო გარეჯშიც, სადაც დავითი დაფუძნდა. ამ ფაქტს ჩვენ იოლად ამოვიკითხავთ „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“: მან და ლუკიანემ **„მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს პარეხი რაიმე კლდისა, რომელსა ქუეშე დაივანეს“**. ეს არ იყო ერთადერთი გამოქვაბული, რომელიც მათ აქ დახვდათ: **„იყო სხუა პარეხი, რომელსა შინა იმყოფებოდა ვეშაპი დიდი და საზარელი** (რეალურად ეს დიდი გველი უნდა ყოფილიყო — **გ.ქ.**)“... და კიდევ ბერობის მსურველთა მოსვლამდე, როცა დავითი და ლუკიანე მარტო იყვნენ, **„წმიდაი მამაი დავით დღითი-დღე განვიდის პარეხთა კლდესა...“** ორ კაცს ნამდვილად არ შეეძლო რამდენიმე პარეხის გამოჭრა.

ჩვენში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ თითქოსდა, ტოპონიმი გარეჯი სიტყვა თვითდასჯიდან მომდინარეობს და „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“ ამოდის: **„ხოლო ესე წმიდაი მამაი ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისასა, რაითა წუთ ერთითა მოიპოვოს საუკუნოი იგი წარუვალი შუებაი და განსუენება. ამისთვისცა აღირჩია აქა სჯა გარეგან უდაბნოთა შინა“.**

ტოპონიმს სხვაგვარი ახსნაც აქვს: როგორც ცნობილია, აცამეტი ასურელი მამიდან სულ მცირე, ათმა მაინც ზედწოდება იმ ადგილიდან მიიღო, სადაც დასახლდა — ზედაზნელი, ნილკნელი, სამთავნელი, სტეფანწმინდელი, ბრეთელი, ულუმბოელი, იყალთოელი, ნეკრესელი, ხირსელი, ალავერდელი. პირიქით ხდება

ანტონ მარტომყოფელისა და შიო მღვიმელის შემთხვევაში, როცა შესაბამის ადგილებს მარტყოფი და შიომღვიმე იქ მოღვაწე ნეტარი მამების გამო ეწოდათ, მაგრამ ჩვენ ამ ორი ადგილის უფრო ძველი სახელებიც ვიცით — **მარტყოფის ადგილზე აკრიანი არსებობდა, შიომღვიმის ადგილზე კი უძველეს მელითონეთა, იგივე ბუნთურქთა მცირე ქალაქი სარკინე, სადაც მინიშნებით რამდენიმე მღვიმე-ქვაბიც უნდა ყოფილიყო. დავით გარეჯელის შემთხვევაში განსხვავებული მდგომარეობაა — შეიძლებოდა, რომ VI საუკუნემდე ამ ადგილებს სახელი არ რქმეოდა?**

ისტორიული კახეთ-კუხეთის და ჰერეთის მიწაზე „გარეჯის“ გარდა, სხვა ისეთი ტოპონიმებიც გვაქვს, რომლებიც „ჯი“ ბოლოსართით მთავრდება: **„ბოდოჯი“, „ბერდუჯი“, „ხორნაბუჯი“, „თოლენჯი“, სოჯი“. გამონაკლისი, სხვათა შორის, არც დასავლეთ და სამხრეთ საქართველოა: „ობუჯი“, „ბუჯი“, „არტანუჯი“ და ა.შ. ამდენად ის, რომ გარეჯი გარე სოჯის შეკუმშული ფორმა უფრო უნდა იყოს, ვიდრე გარე სჯისა, მოულოდნელი სულაც არ უნდა გახლდეთ. ეს ისეთივე შინაარსობრივი დატვირთვის მქონე გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ტოპონიმია, როგორც გარე კახეთი, გარდაბანი (გარე დაბანი) და ა.შ.**

რატომ მაინცდამაინც გარესოჯი?

საქმე ის არის, რომ IV საუკუნიდან ივრის შუწელის მარცხენა სანაპიროზე და გომბორის ქედის სამხრეთით, ისტორიული წყაროებით დგინდება, მიკროქვეყანა სოჯის (სუჯის) არსებობა, რომელსაც მოგვიანებით სუჯეთიც ერქვა. ამ ქართულ-ჰერულ ტომობრივ გაერთიანებასა და საზოგადოებას, რომელსაც თავისი ერისთავი და დედოფალი ჰყოლია, ჯერ „მოქცევაი ქართლისაი“ ასახელებს მრავალგზის, შემდეგ კი „მატიანე ქართლისაი“. წმინდა ნინომ კაწარეთში (ადგილი ხაშმს ზევით) კუხებთან ერთად, სწორედ სოჯები გააქრისტიანა, ხოლო სოჯმა დედოფალმა ამის შემდეგ საკუთარი ძმა და ძმისშვილი სივნიეთიდან მოიხმო და ბოდბეში გაანათვლინა. **სოჯმა დედოფალმა, გარდა ამისა, „დაბაი დიდი ბოდისი (ბოდბე) მცხეთის სიონს შესწირა“**. გამოდის, რომ IV საუკუნიდან სოჯები ხაშმიდან ბოდბემდე არსებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

უდაბნოს მიწები, რომელიც ივრის მარჯვენა და მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლს მოიცავს, ნაწილობრივ ყოფილი სოჯისთვის (სუჯეთისთვის) სწორედ რომ გარე მხარეა, ანუ გარე სოჯია. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ეს შავმიწა და ერთ დროს ტყიანი მხარე კუხებსა და სუჯებს ეკუთვნოდათ და უძველესი ნაქალაქარები მათი დანატოვარია.

ამგვარად, ის ვერსია, რომ ამ ადგილებს ასურელ მამათა გამოჩენამდე ერქვა გარეჯი (გარე სოჯი) რეალურია. **ასურელი მამები (დავითი და ლუკიანე) სწორედ გარეჯში დაბინავების გამო გახდნენ გარეჯელები.**

ახლა დროა, ცოცხალი მოგზაურობაც დავიწყოთ ისტორიაში. ვახტანგ VI-ის არხის გადაკვეთისთანავე, გზა ჯერ დასავლეთით მიემართება, მერე ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. **ტფილელის მშრალი ხევით** ნათლისმცემლის მონასტერთან მისვლა და შეჩერება შეიძლება, მაგრამ რაკი ასურელ მამათა კვალში ვდგავართ, მოგზაურობა დავითის ცხოვრების ქრონოლოგიის დაცვით უნდა დავგეგმოთ — თავდაპირველად, ლავრა უნდა მოვილოცოთ. ასეც ვიქცევით.

მონასტერ „უდაბნოს" უცნობი ქტიტორის ფრესკა და ამ მონასტრის სატრაპეზო

13 წელია, აქეთ არ ვყოფილვარ და ჩიჩხატურის კოშკს რომ გავუსწორდით, გული ამიჩქროლდა. მართალია, **საგაჯების სერზე** აღმართული ეს ნაგებობა გვიანი შუასაუკუნეებისაა, მაგრამ უძველესი ქრისტიანულ-მისტიკური სამოთხის ციდან დაშვებულ გასაღებს წააგავს. ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მეგზური ბერისაგან ვიგებ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩიჩხატურის კოშკის სამხრეთი კედელი აზერბაიჯანის საზღვარში მოექცა და, ბუნებრივია, სერის იმავე კალთაში გამოკვეთილ მონასტრის ქვაბებსაც მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები აკონტროლებენ. წარმოუდგენელი ამბავია...

ბერები კი გადავდივართ ხანდახან მოსალოცად, მაგრამ როგორც კი მესაზღვრეები სატელევიზიო ჯგუფს შეგამჩნევენ, დიდ გაუგებრობაში მოვხვდებითო, — მაფრთხილებს ბერი. არადა, ჩემს მამულში და მონასტერში შენიღბული და შეშინებული რატომ უნდა შევიპარო?!. ტკივილი მას შემდეგ კიდევ უფრო მძაფრდება, როცა ვიგებ, რომ იგივე დაემართა ლავრის ზურგში მდებარე სახელგანთქმულ უდაბნოს კომპლექსს თავისი მშვენიერი სენაკებით, უიშვიათესი სატრაპეზოთი და IX-XIII საუკუნეების კედლის მხატვრობით. ერიჰა!.. თითქოს ის არ კმაროდა, რომ „მოწამეთას“, „აღდგომას“, „ბერთუბანს“, „ცხრაწყაროს“ ვეღარ ვიკითხავდით!..

ლავრაში შესულს ზედა ეზოს გავლის მერე სუნთქვა მეკვრის — მარჯვნივ ამავალი წავარნა ხომ არაერთხელ ამივლია და უდაბნოს ნამონასტრალში გადავსულვარ. ეს გზა ჩემთვის ახლა ჩაკეტილია. 6-7 წლის წინათ მომხდარა ეს ამბავი. ადგილობრივი ბერები და სოფელ უდაბნოში მცხოვრები სვანები არაფერს თმობდნენ, მაგრამ...

... სახელმწიფო და ქვეყანა გვქვია ჩვენ?!

... მცირე ედემში ავდივარ და გამოქვაბულში ნაჟური „წვეთის წყაროთი“ ვითქვამ სულს. ჯერჯერობით, ამას არავინ მეცილება. წვეთებით ჭურჭელი ივსება, მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია — ზღვა კოვზით დაილიაო...

ავტორის ფოტოები

ჰოროსკოპი
8 აპრილი

ვერძი — დღეს შესაშურ გამბედაობას ავლენთ და მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან და არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

კურო — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად და სტუმრების მისაღებად. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ, საღამოს კარგად გაერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

ტყუპები — ტეუპებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სახისტეს, რამაც შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს. სურვილი გაგიჩნდებათ, პირად ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ და ახლობლებიც მზად არიან, უველა წამოწყებაში მხარი დაგიჭირონ.

კირჩხიბი — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რაც ძალიან დაგღლით. დღის მეორე ნახევარი, სასურველია, მშვიდ გარემოში დასვენებას დუთმოთ, რაც ყოველდღიურ მოვალეობებსა და არსებულ პრობლემებს დროებით ძაინც დაგავიწყებთ.

ლომი — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდასტაბლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. დღეს ნუ ეცდებით ხარჯების შემცირებას, რადგან ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არის. სამაგიეროდ, უთანხმოება გულით ახლობლებთან და ამიტომ, თავი შეიკავეთ მათი კრიტიკისგან.

ქალწული — დღე თავიდან წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია შეიცვლება და სადამოს უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად, შეგიძლიათ, დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. მშობლები და სხვა ნათესავები ჩვეულებრივზე მეტად ერევიან თქვენს საქმეში. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად და არც ისაა, გამორიცხული, სამსახური შეიცვალოთ, ოღონდ ახალ სფეროს ნუ აირჩევთ.

სასწორი — თქვენთვის რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსურმა პრობლემებმა იჩინოს თავი. მოგიწევთ ხარჯების შემცირება, თუმცა მალე, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. დღეს გაფორმებული ხელშეკრულება შემოსავალს მოგიტანთ.

ღრიანკალი — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის, ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. გულთან ახლოს მიგაქვთ უველაფერი, რაც თქვენს ირგვლივ ხდება და ამის გამო დღეს განცდა არ მოგაკლდებათ.

მშვილდოსანი — დღე პროფესიულ გამარჯვებას გპირდებათ, კარიერული წინსვლის დიდი შანსი გაქვთ და თქვენში ლიდერის თვისებებიც გამოვლინდება. კარგი დღეა საკუთარ ბიზნეს-პროექტებზე სამუშაოდ. სასურველია, მადალი საზოგადოების წვეულებას დაესწროთ — ადამიანებთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ.

თხის რქა — დღე საკმაოდ წარმატებულია, განსაკუთრებით, პირად ცხოვრებაში. კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც რადიკალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შესაფერისი დღეა გრძნობების გასამყარებლადაც.

მერწყული — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, დღეს თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენოთ ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

თევზები — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი, უველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით. დღეს იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. სადილად იძენთ მეგობრებს. შესაძლოა, მცირე ფინანსური დანაკარგი, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

სს „კავკასიის ბირჟა“ გაცნობებთ, რომ 2013 წლის 15 აპრილს, დღის 13 საათზე გაიმართება აქციონერთა განმეორებითი რიგგარეშე კრება. შემდეგი დღის წესრიგით:

1) წესდებას დაემატოს შემდეგი პუნქტი:

სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე), შეუძლებელია იყოს სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები).

გთხოვთ, გამოცხადდეთ და მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნული საკითხების განხილვაში.

მის. ქ. თბილისი. ა. წერეთლის გამზირი №118. გამოფენის ტერიტორია.

სს „კავკასიის ბირჟის დირექტორატი.

ტაქსი-სასტუმრო დაღლილი კლიენტებისთვის

ლონდონელმა ტაქსის მძღოლმა დევიდ უიკესმა ფულის შოვნის მეტად ორიგინალურ ხერხს მიაგნო — მან საკუთარი მანქანა სასტუმროდ აქცია და მას Relax-A-Taxi უწოდა. კლიენტს რბილი და განიერი საწოლი, სანათი, ფანჯრებზე ფარდები, მზის ელემენტებზე მომუშავე რადიო, iPad, პორტატული მაცივარი და მაგიდა დახვდება. რაც შეეხება სააბაზანოს, არაორდინარული ტაქსის მძღოლი ყველა სტუმარს შხაპის მისაღებად და ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკუთარ სახლში არსებულ სააბაზანოს სთავაზობს. ამ ორიგინალურ სასტუმროში ღამის გათევა 50 გირვანქა სტერლინგი ღირს, ნომრის დაჯავშნა კი ინტერნეტ-გვერდის მეშვეობითაა შესაძლებელი.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ



ეღვილი

8	2	7	6	5	4	3	1	9
6	1	9	8	7	3	2	5	4
4	3	5	2	1	9	8	6	7
3	5	8	4	9	7	1	2	6
2	4	6	5	8	1	9	7	3
7	9	1	3	2	6	5	4	8
9	8	4	1	6	5	7	3	2
1	7	3	9	4	2	6	8	5
5	6	2	7	3	8	4	9	1

სცენიერი

2	7	6	1	9	4	8	5	3
8	5	1	6	7	3	9	2	4
4	3	9	2	8	5	1	7	6
5	1	2	4	6	7	3	8	9
7	4	8	9	3	2	6	1	5
6	9	3	8	5	1	7	4	2
9	6	7	5	4	8	2	3	1
3	2	5	7	1	9	4	6	8
1	8	4	3	2	6	5	9	7

რთული

2	4	7	3	9	6	8	1	5
1	3	9	5	4	8	7	2	6
8	6	5	2	7	1	9	3	4
6	2	1	9	8	7	5	4	3
7	9	3	1	5	4	6	8	2
5	8	4	6	3	2	1	9	7
4	1	8	7	6	3	2	5	9
3	5	6	8	2	9	4	7	1
9	7	2	4	1	5	3	6	8

ეჯსჯერი

9	6	8	2	7	5	3	1	4
3	5	7	1	6	4	2	8	9
1	4	2	3	9	8	6	7	5
5	1	3	4	2	9	8	6	7
4	2	9	7	8	6	1	5	3
8	7	6	5	1	3	4	9	2
2	9	5	8	4	1	7	3	6
7	3	1	6	5	2	9	4	8
6	8	4	9	3	7	5	2	1



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი
9 აპრილი

ვერძი — საკმაოდ რთული დღეა, ემოციური ფონიც არასტაბილურია, რაც სულიერ ძალას გართმევთ. შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგვიდეთ და არც ფინანსური მხარეა სასიამოვნო, დიდია დანაკარგის ალბათობა... არ ღირს, სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

კურო — დღეს მეტი გონიერება გამოიჩინეთ. არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ უფროსებთან. არ არის სასურველი, რთული და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ახლობლებთან, რადგან მათი კრიტიკა თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდება.

ტყუპები — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ. მისი წყალობით არსებულ კონფლიქტებს მოაგვარებთ და მიხვდებით, რომ თქვენთვის ძვირფას ადამიანს უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია, საღამო კი პირიქით, ამიტომ თავს დასვენების საშუალება მიეცით და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ.

კირჩხიბი — დღეს მეტად გამჭრიახი და საზრიანი ხართ, არ გსურთ, სხვის გაკვალულ გზას მიუყვეთ. დღის მეორე ნახევარი მეგობრებთან ან რომანტიკულ პაემანზე გაატარეთ. მოგწონთ, როცა უურადღებას გაქცევენ, ზოგჯერ ამისთვის ორიგინალურ და ექსტრავაგანტულ საქციელსაც არ ერიდებით.

ლომი — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. სამაგიეროდ, შეგიძლიათ თქვენს მიმართ სიმპათიით განაწყოთ ნებისმიერი ადამიანი. კარგი დღეა საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შესაცვლელად.

ქალწული — დღეს შეგიძლიათ საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, რომ არავინ დაიხმაროთ და ყველაფერი თავად მოაგვაროთ. სასაკეთოა ფინანსური სურათიც, შესაძლოა, ფულადი გზავნილი მიიღოთ. პირად ცხოვრებაში დიდია ალბათობა ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვის მიმართაც სიმპათია სწრაფად გადაიზრდება სერიოზულ გრძნობაში.

სასწორი — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიღალატებენ. შესაძლოა, ისეთი მაცდური წინადადებაც მიიღოთ, რომ საკუთარი ბედნიერების თავად არ გჯეროდეთ. შესაფერისი დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ პირად ურთიერთობებშიც. ის სასწორები, ვინც საკუთარ „მეორე ნახევარს“ ეძებენ, მზად უნდა იყვნენ საინტერესო ნაცნობობისთვის.

ღრიანცელი — კარგი დღეა ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის. არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები. შესანიშნავი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს. ნუ მოგერიდებათ ინიციატივის გამოჩენისა და საკუთარი გრძნობების გამხელის.

მშვილდოსანი — კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, სამაგიეროდ, პირად ურთიერთობაში გაჩნდება პრობლემა — იმდენად ენერგიული ხართ, რომ ეს ღლის გარშემომყოფებს. ნუ შეეცდებით ახლობლებს თქვენი ცხოვრების რიტმი მოახვიოთ თავს და ნუ განაწყენდებით, თუ თქვენს შეთავაზებას ენთუზიაზმით არ შეხვდებიან.

თხის რქა — დღე საოფთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა გაგიფფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან, არ არის გამორიცხული, მტრებიც გაიჩინოთ. რთულ სიტუაციებში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან.

მერწყული — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიიღებთ, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოეშვათ, თუ არ გინდათ, რომ თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრთან, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან. მთლიანობაში, მოვლენების განვითარება თქვენს გეგმებსა და მოლოდინს შეესაბამება.

თევზები — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დაბანდოთ. შეგიძლიათ გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ ხდება. შეეცადეთ, ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ გარკვეული დრო.

სუიციდის დასაძლევად ლოცვებს აღავლენენ

ბულგარეთის პრეზიდენტის, როსენ პლევნელიევის თხოვნით, ნაციონალური პესიმიზმისა და სუიციდის დასაძლევად, კრიზისიდან მოთმინებითა და ღირსეულად გამოსვლისთვის, ტაძრებში სპეციალური სამდღიანი ლოცვები აღევლინება. ეს გადაწყვეტილება ბულგარეთის პირველმა პირმა მას შემდეგ მიიღო, რაც შვიდმა ადამიანმა, სიღარიბისა და კორუფციის გასაპროტესტებლად თავი დაიწვა. მათგან ხუთი გარდაიცვალა, ორმა კი მძიმე დამწვრობა მიიღო. ბულგარეთის სხვადასხვა აღმსარებლობის რელიგიურმა ლიდერებმა მხარი დაუჭირეს ქვეყნის პრეზიდენტს, სახელმწიფო კლინიკებში კი პაციენტებს უფასო ფსიქოლოგიურ დახმარებას გაუწევენ. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთში მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე იმყოფება და წინა მთავრობის გადადგომის მიზეზი სწორედ ქვეყანაში გამეფებული სიდუხჭირე გახდა. ზოგიერთი მონაცემებით, წლის დასაწყისიდან დღემდე, ქვეყანაში 200-მდე ადამიანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

პრეზერვატივის ფასმა კლიენტის სიცოცხლე შეიწირა

კონტრაცეპტივის ძალიან მაღალი ფასის გამო მაღაზიაში დაწყებულმა კამათმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აშშ-ში, ქალაქ დეტროიტის მცხოვრებს ბენზინგასამართ სადგურზე არსებულ მაღაზიაში ერთი ყუთი პრეზერვატივის შეძენა სურდა, მაგრამ მოლარესთან მის საკმაოდ მაღალ ფასზე დაიჩივლა. ის შეეცადა მოლარის დარწმუნებას, რომ სხვა ადგილას კონტრაცეპტივს უფრო ხელსაყრელ ფასად შეიძენდა და მას ფასის დაკლება მოსთხოვა. როცა მოლარემ უარი უთხრა, მამაკაცი გაბრაზდა და დახლებიდან საქონლის გადმოყრა დაიწყო. საპასუხოდ, გამყიდველმა დახლის ქვემოდან იარაღი ამოიღო და აბობოქრებული კლიენტის დასაშინებლად სროლა დაიწყო, თუმცა ტყვია მამაკაცს მხარში მოხვდა. იგი საავადმყოფოში მაშინვე გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

ეანწყობაზ წყალი აეიმაღლებთ

შესაძლოა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა და ფსიქოემოციური ფონი იმაზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის წყალი დალიეთ დღეში. ეს საინტერესო კანონზომიერება კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს. სწავლულთა ჯგუფმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის დროსაც მოხალისეები ერთი თვის განმავლობაში ნახევარსაათიან გარბენს ასრულებდნენ, რის შემდეგაც ყოველი მათგანი სპეციალურ ტესტს აბარებდა ფსიქიკური მდგომარეობის გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, მამაკაცები უფრო აფორიაქებულნი და გაღიზიანებულნი ხდებოდნენ, მანდილოსნები კი თავისტკივილსა და განწყობის გაუარესებას უჩიოდნენ. სწავლულებმა შედეგების მიხედვით დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ წყლის დაკარგვა ძლიერ დარტყმას აყენებს განწყობასაც და საერთო ფიზიკურ მდგომარეობასაც. რისკჯგუფში იმ პროფესიის ადამიანები შედიან, ვისი სამუშაოც გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომას უკავშირდება. კარგი განწყობის შენარჩუნებისთვის სპეციალისტები გვირჩევენ, დღეში არანაკლებ 8 ჭიქა წყალი დავლიოთ.

კაკალი შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ კაკალი ხელს უწყობს მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკის შემცირებას. სწავლულებმა 35-დან 77 წლამდე, 137 893 ამერიკელი ქალის მონაცემები გამოიყენეს და მათ ჯანმრთელობას 10 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დადგინდა, რომ თვეში 1-3-ჯერ ნიგვზის მიღება დიაბეტის განვითარების რისკს 4%-ით ამცირებს, ხოლო ნიგვზის ყოველკვირეული მოხმარებისას — 13%-ით. ყველაზე კარგი მაჩვენებელი იმ ქალბატონებს ჰქონდათ, ვინც კვირაში ორჯერ მიირთმევდა ნიგოზს — მათ რისკი 24%-ით უმცირდებოდათ. მეცნიერების თქმით, დადებითი შედეგის მიღება შესაძლებელია, თუ ერთჯერადად 28 გრამ ნიგოზს მიირთმევთ, სადაც ბევრი სასარგებლო ცხიმმჟავაა, რაც ორგანიზმში ანთებით პროცესს აქვეითებს და გულსისხლძარღვთა დაავადებების, სიმსივნისა და ართრიტისგან იცავს.

პარიზის გაზონებს ცხვრები მიხედავენ

საფრანგეთის დედაქალაქის მერიამ გადაწყვიტა, ექსპერიმენტი ჩაატაროს და ქალაქის ფარგლებში გაზონების გასაკრეჭად ცხვრები „დაიქირაოს“. „გაზონის მკრეჭავებს“ ევალებათ, 2 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის გამწვანების მიხედვა. ექსპერიმენტის მონაწილეებად ჯუჯა ცხვრები ბრეტანიდან პარიზში ჩაიყვანეს და საცდელი ვადა ოქტომბრამდე განუსაზღვრეს, ზამთარს კი ცხვრები ვენის ტყეში, მათთვის სპეციალურად მოწყობილ ფერმაში გაატარებენ.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

					5	1		7
	2	8	3					
				1		3	9	
8		7					3	
			9		2			
	3					9		4
	1	4		8				
					6	7	2	
3		6	5					

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1					3		2	
2		8	4	1				
				7			6	
					6	5	4	2
3	9	4	2					
	5			3				
				6	4	2		8
	1		9					3

ᲠᲗᲣᲚᲘ

3				7		2	5	
7								8
				5	1		3	
		3	7		8			2
		6				3		
2			6		3	9		
	4		5	8				
6								9
	9	7		6				1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	5	7			8	4		
	4			6		3		8
						7	6	
	3		9			2		6
7				4				3
9		5			2		4	
	1	9						
5		3		7			1	
		6	2			8	3	

მონაკო გაფართოებას აპირებს

მონაკო საკუთარი ტერიტორიის გაფართოებას გეგმავს და ამას ხმელთაშუა ზღვაში ხელოვნური ნახევარკუნძულის შექმნით აპირებს. ამის თაობაზე განცხადება ქვეყნის მეთაურმა, მონარქმა ალბერ II-მ უკვე გააკეთა. მისი თქმით, 2008 წლიდან სახელმწიფოს გაფართოების სხვადასხვა ვარიანტს განიხილავდნენ, მაგრამ მაშინ იძულებული იყო, გლობალური ფინანსური კრიზისისა და გარემოს დამცველების მხრიდან ზეწოლის გამო, უარი ეთქვა 12 ჰექტარი ახალი მიწის მელიორაციაზე, რომელიც 3000 ადამიანის საცხოვრებლით დაკმაყოფილებას შეძლებდა. მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, მონაკო მსოფლიო ყურადღების ცენტრშია თუნდაც იმით, რომ აქ ფიზიკური პირებისთვის არ არსებობს საშემოსავლო გადასახადი. ნახევარკუნძული მონაკოს ტერიტორიას დაახლოებით 3%-ით გააფართოებს, პროექტი უმკაცრესი ეკოლოგიური ნორმების დაცვით განხორციელდება და ეს ნორმები იმოქმედებს როგორც ნახევარკუნძულის მშენებლობისას, ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციის დროსაც.

ლუდი პიცის გემოთი

ამერიკულმა ოჯახმა ქარვისფერი სასმელი შექმნა პიცის გემოთი. ჩიკაგოში მცხოვრებმა ტომ და ანეტა სიფერტებმა ლუდის კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტეს, სასმელიც ამიტომ დაამზადეს. უახლოეს პერიოდში ისინი იმედოვნებენ, რომ პიცალუდს ქვეყნის სხვადასხვა ბარებში გაყიდიან და უცხოეთშიც გაიტანენ. სიფერტების თქმით, ლუდი შემთხვევით გამოიგონეს: ბოსტანში სხვადასხვა სახის ბალახეული და სანელებლები მოვაგროვეთ, შედეგად ლუდი გემრიელი გამოვიდა და მეგობრების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ერთმა მათგანმა ისიც თქვა, პიცის გემო აქვსო და ამიტომ სასმელს Mamma Mia Pizza Beer უწოდეს, რომელშიც ორეგანო, ნიორი და ტომატი დაამატეს და ლუდი ალკოჰოლის 4,7%-ს შეიცავს.

პიცა განვადებით

ნეაპოლში პიცის მირთმევა განვადებით შეგიძლიათ, თანხა კი რვა დღის განმავლობაში უნდა დაფაროთ. საქმე ისაა, რომ ქალაქის ერთ-ერთმა პოპულარულმა პიცერიამ, რომელიც Via Tribunali-ს ქუჩაზე მდებარეობს, უძველესი ტრადიციის აღორძინება გადაწყვიტა და რთული ეკონომიკური ვითარების გამო, ამ ტიპური ნეაპოლიტანური კერძის გარეშე რომ არ დარჩნენ ადამიანები, პიცას კრედიტით სთავაზობენ. პიცერიის შეფ-მზარეული ჯინო სორბილო აცხადებს: „ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანურობის გამოჩენა. მე ვენდობი ნეაპოლელებს და იმედი მაქვს, ერთმანეთს იმედებს არ გავუცრუებთ“. ამ უძველესი ტრადიციის აღორძინება კი ჯინომ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქალაქის ერთ-ერთ პიცერიაში, შეიარაღებულმა მძარცველმა, იქიდან გამოსულ კლიენტს ოთხი პიცა გასტაცა. ამას დღეს ჩემი შვილები შეჭამენო, — წამოიძახა ქურდმა და გაიქცა.



ოფისის ჰაერი კლავს

ამერიკელმა მკვლევარებმა გარემოს დაცვის ეროვნული ინსტიტუტიდან დაამტკიცეს, რომ ოფისში მუშაობა უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე — ოფისის ჰაერი თანამშრომლებისთვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს. იატაკის რბილი საფარი, ავეჯი, საღებავი და სხვა საოფისე საგნები გამოყოფს პოლიფტორირებულ ნაერთებს, რაც სისხლში აღწევს და შედეგად, წარმოიქმნება ფლუოროპოლიმერის მაღალი მაჩვენებელი. ქიმიკატი სისხლში ერთ-ერთ მუავად გადაიქცევა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს და ბავშვებში თანდაყოლილი სიმახინჯესაც იწვევს. სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რისკის ქვეშ ახალ ოფისებში მომუშავე ადამიანები არიან, სადაც ავეჯი და ინტერიერი თანამედროვეა.

ყველა სუნამო ერთ ბოთლში

შარშან, მსოფლიოს პარფიუმერებმა 1400 სუნამო შექმნეს, ჰოლანდიელმა ხელოვანებმა, ლერნეტმა და სანდერმა კი გადაწყვიტეს, ყველა არომატი ერთ ბოთლში გაეერთიანებინათ და ამ სითხეს Everything უწოდეს. კითხვაზე, როგორი სუნი აქვს ახალ პარფიუმს, არტ-დუეტის წევრები პასუხობენ: ერთმა მეგობარმა ის Chanel N5-ს შეადარა, თუმცა ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, რადგან სურნელი ისეთივეა, როგორც ნებისმიერ პარფიუმერულ მაღაზიაში.



გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.